



საქართველოს  
საბჭოთაო

საქართველო





# შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I	არდნუჯის გზა (ბათუმისკენ) სურათი . . . . .	530
II	პატარა ქართველს. ლექსი გერმანაშვილისა . . . . .	531
III	მგზავრები. ფრანგულით ტასოსი . . . . .	532
IV	საწადელს მიადწია! ფრანგულით ტასოსი . . . . .	534
V	ჩიტი და მელა. ზღაპარი შაო მღვიმეშვილისა . . . . .	537
VI	წაბლა დაგვიბრუნდა! (თარგმანი) კუდრაჭასი . . . . .	541
VII	ტბა და მდინარე. ივანე-არაკი ი. სისხარუაძისა . . . . .	544
VIII	კურდღლის ოჯახი (დასასრული) გ. ჭრეჭაშვილისა . . . . .	547
IX	წვრილმანი: გამოცანები, შარადა, გეოგრაფიული ამო- ცანა, დამაკვირდი, რებუსი და ახსნა: . . . . .	562
—————		
X	* * * ლექსი ჯადო ბეკუტკორასა . . . . .	564
XI	ამბავი ზესკნელისა. წერილი მეექვსე. მთვარე. იღ. აღ- საზიშვილისა . . . . .	565
XII	ღამე ლექსი გ. გოგოლაძესი . . . . .	570
XIII	ღამი (ბიძია ჟორეის ნაამბობი) გაგრძელება ეკ. მესხისა . . . . .	571
XIV	ოსმალეთი. ისლამი. შემდეგი იქნება. ად. ფ—სი . . . . .	583
XV	მოკურავე ქალაქი (თარგმანი) კუდრაჭასი . . . . .	588
XVI	მწერების ძალ-ღონე . . . . .	592

მიიღება სელის მოწერა

# ჯ ე ჯ ი ლ შ ე

1916 წლისა.

ქართული  
ბიბლიოთეკა



# საქმანთა ნახატებიანი ქუჩა

იზარდ, მწვანე ქუჩილო,  
დაბური, გახდი უნაო.




ნოემბერი 1915 წ.

◆ წელიწადი მეოცდაექვსი ◆



თ ბ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.  
1915



არდნუჯის გზა (ბათუმისაკენ).



# პატარა ქართველს.

058536888



უ გავიწუდება შენი სამშობლო  
წმიდა ივერი აოსრებული,  
ნურც შენი ენა შენი აღმსრდელი,  
ნურცა დედ-მამა დაღონებული.

გახსოვდეს, რომა ჯერ პატარა ხარ  
და დიდი არის სამშობლოს ვალი,  
შენგან მოელის იგი დასსნასა,  
შენსკენ უჭირავს ვედრების თვალი.

მის. გერმანაშვილი.





ქუჩისპირა

## მგზავრები.



რთი კაცი მთაგორაკებისაკენ გაემკვავრა. მიდიოდა და მიდიოდა, ერბაშათ მის წინ აუმართა უშველებელი კლდე. აქეთ უუურა, იქით უუურა. უნდა დასძრას და ვერას ასერსებს. დაღონებული ჩამოჯდა ქვაზე და მწარე ფიქრებს მიეცა:

— რა შეძველება, ძაღვ მომიხწრობს დამე. ამ უსრიაკადგილს არც საჭმელ სასმელი მოიპოვება, არც თავს შესაფარი, ვერც ნადირს ავაშორებ თავს, როდესაც იგი დამე გაძოვა სანადიროთ.

ამ ფიქრებში რომ იყო, მეორე მგზავრი მოხდა. გა კლდეს, იმანაც რომ ვერა გააწეო რა, ვერ დასძრა კლდე-მიუჯდა გვერდს ჰირველ მგზავრს და მწუსარებით თავი ჩაღუნა.

ამ ორის მოჭევა ბევრი სხვა მგზავრიც და ვერც ერთმა მათგანმა ვერ დასძრა კლდე. უველანი ნაღვლით დაძმარებული იეჟენ.

მერე ერთმა უთხრა სხვებს: ძმებო, ჩვენ სა-

თითოდ ვერა უშველეთ რა ამ კლდეს, იქნება აქ-  
რძით რომ მივიდეთ ერთად გავსდეთ რაძეს.

ეველა წამოსტა ფესზე და საერთო ძალით კლდე  
დასძრეს. ასე გაიკვლიეს მათ გზა და მშვიდობით  
განაგრძეს მოგზაურობა.

ნუ შეგვაძინებს ცხოვრებაში დაბრკოლება და მწუ-  
ხარება, მას საერთო ძალით მოვერევით.

(ფრანგულით)

ტასო.





# საყადელს ვიარჯია!



რთი ღენებლი მოკვიტსრობს თუ  
როგორ გაიგნო მან გზა ცხოვრე-  
ბაში.

„ერთხელ სელში ჩამივარდა-  
განცხადება, რომ ვისაც უნდა გა-  
მოიცადოს არტილერიის სასწავლე-  
ბელში შესასვლელათ გამოცხადდენ-  
ქალაქ მეცეს.

ღავუწეე მამას თხოვნა, რომ გავეშვი.

ჩვენ ღარიბები ვიუზვით და შე მხოლოთ.  
ექსი ფრანკი მომცეს სამკსავროთ. რასაკვირველია ფე-  
სით ვაგუდეგ გზას.

მივედი თუ არა ქალაქში მაშინვე გავეშურე იქ.  
სადაც გამოცდა უნდა ეოფილიყო. შევედი დარბაზში.  
ვევლამ შექომხედეს თუ არა სიცილსარსარი ასტესეს,  
არც გასაკვირველი იყო: ზატარა ვიუზუ, გამხდარი  
და უღონო, მთლათ გამტვრიანებული, დიდი ჯო-  
სით სელში და ტლანქი ჩექმებით შევედი დარბაზში.  
ამისთანა დახვედრასე ცოტა არ იუოს შევეკრთი და  
შევდექი, მაგრამ უფროსმა, რომელსაც უნდა გამოე-  
ცადა უმაწვილი კაცები, გამამხნევა თავისი ტკბილი  
სიტყვებით:

— უსათუოდ შესცდით, რომ აქ მოხვედით, მე-  
გობღრო. რა გნებავთ?

— მე მინდა გამოვიცადო, ეგ საშინი დავიჭირო,  
ბატონო!

ამ ჩემ სიტყვებმა ხელ ახლათ გამოიწვიეს სი-  
ცილ-სარსარი.

— მე რე იცით, მითხრა ისევ უფროსმა, — რა  
ნაირი გამოცდა დავჭირდებით არტილერიის სასწავ-  
ლებელში შესასვლელათ? გაცნობილი ხართ რა საგ-  
ნებია საჭირო?

— ბატონო ჩემო, მე ვეძახებოდი.

— მას კარგი, დაჯექი და როდესაც შენი რი-  
გი მოვა, გამოგიძახებ.

მე კუთხეში მივჯექი. ვეუღა, ვინც მოსულიყო  
ჩემსავით ეგ საშინების დასაჭერათ, დაცინვით მიუ-  
რებდა. მე დავიწვე მუჯაითად უურის გდება — გა-  
მოცდის დროს რასა ჰკითხავდენ და რას უპასუხებ-  
დენ, ამან გამაძხვავა. მე ჩემ თავს ვეუბნებოდი: მე  
სომ მაგასე მეტიც ვიცი!

ბოლოს ჩემი რიგიც დადგა.

დარბაზიდან გასულები ეველანი შემოვიდენ. უნ-  
დოდან დასწრებოდენ ჰატარა სოფელის გამოც-  
დას.

უფროსმა დამიყენა კითხვები უძაღლეს მატე-  
მატიკიდან. კითხვას კითხვასე მამლევა, მე რე ერთ-  
ბაშათ შედგა და გაკვირვებით შემომხედა.

— სად სწავლობდით მატემატიკას? მკითხა მან.



— არსად, მე თვითონ ვსწავლობდი და თუ მკითხავთ მეტს, რაც დღეს გამოხსნა დელოთ საჭირო არ არი— იმასაც გიპასუხებთ.

ჩემი გამოცდა გავგრძელდა ორი საათი. როდესაც ვათავდა უფროსი მოძიანლოვდა, ვადაძესვა და მითხრა:— თქვენ მე გამოაცეთ, დღეიდან დანიშნული იქნებით არტილერიაში.

ამ დღეს სხვა დიდი ბედნიერებაც მომეკლინა, იმ მოწოდებამ კანსუელმა კაცებმა, რომელნიც დილით კიჟინით დამიხვდნენ, ანლა თუძცა თავს ვაშორებდი აღტაცებით ამიტაცეს ძალლა და ასე აუვანილი გამატარეს ქალაქის ქუჩებში.

ეს იყო საუკეთესო დღე ჩემ სიცოცხლეში.

და ასე მივბღწიე ჩემ საწადელს.

(ფრანგულთ)

ტასო.



## ჩიტი და ველა

(ზღაპარი)



რთმა ჩიტმა ჩიორამა  
ტუეში სესე ბუდე ჩადგა  
და რაც ბინას შეესება  
უშიძარი გამოადგა.

უჩინარი ჩაღის ბუდე  
დაძორებით იყო გზასე;  
სამი კვერცხი დადო შიკ და  
გამოჩეკა სამ კვირასე.

დედა ბარტყებს ფრთხილათ  
ზრდიდა

ცულლუტ გუგულს როდი ჰგავდა:  
მაგნე შწერებს—კოლობუსებს  
და კალიებს უსიდავდა.

უხაროდა, ჭიკჭიკებდა:  
მაღე დავაფრთიანებო,  
სიზარმაცით ამათ აღსრდას  
როდი დავაგვიანებო.

მაგრამ ბედმა უღალატა —  
შეაძნია მელამ ბუდე,  
მიცუნცულდა შეძასილით  
ის ცბიერი და გულ-მრუდე.



—, ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო ძეგაო?

— „ერთი შვილი გადმოგიგდე,  
 თორემ შავ დღეს დაგაუენებ  
 ცუღს მოვიტან ცუნცუღასა,  
 ხელეჩოს და წაღღუნასა,  
 ხესაც მოჰჭრი, ხის ძირსაცა  
 შენც შეგჭამ და შენ შვილსაცა“.

შეეშინდა ჩიორასა  
 ძეგას უური რა დაუგდო,  
 აიღო და უბედურმა  
 ერთი ბარტეი გადმოუგდო.

უნებურად გადმოგდებულს  
 არც კი ამოაქაქანა,  
 დაატანა უცბად ჰირი  
 და ბუჩქებში გააქანა.

მეორე დღეს კვლავ მოვიდა  
 რაკი გაუწუწკდა ხასა;  
 დაცუჟქდა და საბრალო ჩიტს  
 დამუქრებით დაუძასა:

„ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო! და სხვა“.

დაღვრემიღს და დამძარებულს  
 უფრო დიდი ელდა ეცა;  
 რას იზავდა, გულის კენესით  
 გადმოუგდო მეორეცა.

რაც ჰირვეღს დღე დააუენა  
 მეორესაც ის არგუნა.  
 მესამე დღეს უნამუსოდ



ფესი ისევ მოიბრუნა.

ორი შვილის დამკარგველი

კულით ზრც-კი ავაგლანსა,

ვითომც არაფერიაც

ბედ-შავს კიდევ დაუძახა:

„ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო! და სხვა“.

შავს ვარსკვლავზე დაბადებულს

სწორედ გაურისს და ზეცა:

შიშისაგან დაბნეულმა

გაიძევა მესამეცა.

ის დამართა ფრთა-შეგინგლულს

რაც პირველს და მეორესა,

შესანსლა და არსეინად

თავი მისცა უღრან ტეესა.

ადგა ჩიტი გადიკარვა,

მოშორდა იმ არე-მარეს;

თვალი მოჰკრა მონადირემ

სვედიანს და კულ-მწუსარეს.

— ჩიტო, ჩიტო, რა მოგვლია,

ქაჩორა ტეეს აღარ სწეალობ?

ვინ შენა და ვინ მოწეენა,

ერთი მითხარ რად არ გალობ?!  
— დალოცვილო, რასა ბრძანებ,

რადა გალობისა მცხელა,

ერთმა წუწკმა ქელა-აჰა

დამღუპა და დამანელა.

ჩემი ბუდე მოიკვლია,

შემომიჩნდა სიერმე-ბნელი,



საძი, შვილი შეძიჭაძა  
 და დამტოვა მარტოსელი.  
 — წრიზინით რას გააკეთებ  
 შე საწუალო და გულმკვდარო?!  
 ვერ მიჩვენებ რომ იმ წუეულს  
 დღე ახლავე გაუმწრო!

გაუძღვა წინ მონადირეს  
 დაანახვა წუწკი ძელა;  
 მეტად მარჯვემ, გამოცდილმა  
 არც აცივა, არც აცსელა  
 დაუძისნა მაჭასელა,  
 ოდნავათაც არ დასრილა,  
 ესროლა და მატეუარას  
 კბილები ძთლად დაუცსრილა.

შიო მღვიმელი.



# „წაბლა“ და გვიგონა!



ვანეს ძალიან გაუჭირ-  
და ცსოვრება და თავის  
საუფარელ ცსენს „წაბ-  
ლას“ გაუიდვა დაუპირა:  
— მეტი გზა არ

არის, ჩვენი წაბლა უნდა გაუვიდოთ, ეუბნებოდა ივა-  
ნე თავის ცოლს — მოსაყალი არ მოვიდა, ამ ოძია-  
ნობამაც სული ამოგვართვა, ეველაფერი გაძვირდა და  
ამ სამთარს ვაი თუ უღუკა ჰუროთ დაურჩეთ.

ძართას თვალებზე ცრემლები მოადგა:

— მერე ბავშებს რაღას უპირებ? სომ ცდი,  
როგორ უეფართ ჩვენი წაბლა, სულ თავებს მოი-  
კლამენ.

— მე თითონ მეძნელება მაგის მოძორება, მაგ-  
რამ აბა რა ვუყოთ, გაჭირებას სად წაუსვალ?

ივანე ბოსელში შევიდა, წაბლა შეკმაზა, მერე  
გარეთ გამოიყვანა და ბავშებს დაუძმასა:

— ბავშებო, მოდით წაბლას გამოეთხოვეთ,  
დღეს მიძვავს ქალაქში გასაუიდათ, სსვა გზა არ  
არის!



დმერთო, რა ღრიალი აუტედათ ბავშვებს, როგორ ესვეოდენ და ეაღერსებოდენ წაბლას.

— არ გაუშვებ, მამილო, ჩემ წაბლას, არა! ევიროდა ზატარა ვასიკო.

მაგრამ რა გაეწეობოდა, ივანეს ქალაქში ეჩქარებოდა და რის ვაი ვაგლახით მოაწიწვნა ბავშვები წაბლას.

ივანემ ქალაქში წაბლა ნაცნობ ვაჭარს მიუევანა. ცოტა ხანს ივაჭრეს, მერე ვაჭარმა ივანეს ფული მისცა და წაბლა მეჯინიბეს გაატანა სახლში. ივანე რომ შინ ბრუნდებოდა, აბა რას მოიფიქრებდა, რომ იქ უბედურება მოელოდა. ზატარა ცელქ ვასიკოს ცხელი წყალთ სავსე ქვაბი ზედ გადაესხა და მთლათ გაფუფქულიყო. საბრალო დედას თავ გზა დაბნეოდა და არ იცოდა რითი ეშველა შვილისთვის. როგორც კი ივანეს თვალი მოჰკრა მაშინვე შესრბას:

— ჩქარა დაბრუნდი ისევ ქალაქს და ექიმი მოიევანე, ჩქარა, თორემ საბრალო ბიჭუნა ძალიან იტანჯება და ვერაფრით მიშველია.

დაღალულ-დაქანცული ივანე გატრიალდა და სირბილით ისევ ქალაქის გზას გაუდგა. ესლა რომ წაბლა შინ ჰყოლოდა სომ შეჯდებოდა ზედ და ერთ წუთს ქალაქში გაჩნდებოდა.

მირბის საწეალი ივანე და ფესები ეკვეთება. ნახევარი გზაც ვერ გაიარა, რომ ძირს დაეცა:

— დმერთო, რა მეშველება, ფიქრობს ზირქვე დაცემული ივანე— ვინ უშველის ჩემ ვასიკოს, ვინ მოუევანს ექიმს!

უცბათ ივანეს ვაღაცა შეესო და დაისვისვინა. ივანემ თავი ძაღლა აიღო—იმის წინ წაბლა იდგა, შეკას-  
მული, ისე გამსადებული, თითქოს ეპატყუებოდა ივა-  
ნეს შემჯექი და სხდაც გინდა წაგეუვანო. ივანემ  
თვალები მოიფშენიტა, სომ არ შელანდებო, მაგ-  
რამ არა, ეს ნამდვილი მათი საუფარელი წაბლა  
იყო. რა და დროს ფიქრია, ივანე შეასტა წაბ-  
ლას და გაჭქროლა ქალაქისაკენ. მიჭქრის ივანე და  
თან უკვირს იმ ალაგას წაბლა საიდან გაჩნდა. ის  
კი არ იცის, რომ წაბლამ, როგორც კი ისელთა  
დრო გამოჭვაროდა თავის ასალ ჰატრონს, მაშინვე  
თავის ძველ ბინისაკენ გამოიქცა და სწორეთ ამ დროს  
წააწედა ივანეს.

წაბლას წვალობით ივანემ ძალე მოუუვანა ემაწვილს  
ექიმი და ჰატარა ვასიკო სიკვდილს გადააჩინეს.

ივანემ ძერე წაბლა ისევ ასალ ჰატრონს მიჭკვა-  
რა, მაგრამ მან რომ წაბლას ამბავი ვაიკო ცხენი  
ისევ ძველ ჰატრონს დაუბრუნა, ფული კი ივანეს,  
სესხათ ჩუთვალა-როცა გექნება მაშინ მომეციო.

ბავშვები სისარულით ფეხსე არ იდგენ თავის  
წაბლა რომ დაინახეს.

— წაბლა და გვიბრუნდა! წაბლა და გვიბრუნდა!  
უვიროდენ ბავშვები—ესლა აღარ მოგვშორდება, ჩვე-  
ნია!

მართლაც წაბლა სიკვდილამდის აღარ მოშორე-  
ბია თავის საუფარელ მეგობრებს.

# ტბა და მდინარე

(იგავ-არაკი)



დინარის ახლო ტბა იდგა  
მდუმარე, გულ ჩათსრობილი,  
გველბაუაუებით, ჯოჯოთი,  
აღვსილი, მკერდ დაობილი,

სდუმდა მუდმივბათ...—მაშინ კი —  
ქარი რო შეუქროლებდა,  
აქოთდებოდა, მიდამოს  
საზარლათ ააუროლებდა.

ბაუაენი, ჯოჯო-გველები  
ბორგაგდენ, ისვანკლებოდენ,  
ასტეხდენ ეიუისს, სისინსა,  
და ისევ დაწუნარდებოდენ.

იქვე მდინარე მოჭქუსდა  
ტაღლათ მტვრევით და ჩქეფითა,  
გზა და გ'სა ბალასს, ევავილებს  
ვარცხნიდა სპეტაკ მსეფითა,

მსე და მთვარეზე ბროლის მკერდს  
აელვარ-აკამკამებდა,

თვის გამსჭვირვალე სიღრმეში  
კალმასებს ათამაშებდა,

მიჭქროდა შეუჩერებლივ,  
სან ძღერდა, სან კისკისებდა.  
და ჩქაფა-ჩქუფით, ჩქრიალით  
ძთა და ბარს ასაღისებდა.

ერთხელ ტბამ უთხრა მდინარეს:  
„მაკვირვებს შენი ქცევაო,  
რად არ მოგწეინდა სულ ლტოლვა,  
ქვებსე თავაზირის მტვრევაო.

განა არ გიჯობს ერთ ადგილს  
დადგე და მოისვენოვო,  
ან და, რო მიჭქრი, სად მიჭქრი,  
ამით რას შეიძენოვო!“.

მდინარემ გადაიკისკისა,  
დაეშვა სრბოლით ქვევითა,  
და ტბას ჰასუსნი შესძახა  
სიმღერით, მსეფთა ფრქვევითა:

„მიუვარს გიყმაჟი ჩსრიალი,  
მუღმივი ლტოლვა, სრბოლბო,  
ტაღღების მტვრევა, შენება,  
და ნაპირებთან ბრმოლბო,

არ მინდა ვიდგე ერთ ადგილს,  
მკერდს მომეკიდოს თბიო,



ჯოჯო-გველებით ბვივსო,  
 ბუროლდე, ვით ჭაობიო,

წინ მივისწრაფი—წინ—სღვისკენ  
 მიტომ მიუფრინავ თავ-ქვეო,  
 რომ სღვის სივრცეზე ტაღღების  
 საერთო სრბოლას ბუეეო“... დას

ი. სიხარულიძე.





### კურდღლის ოჯახი.



აჭიებს ვააცივით შიშისაგან. „რა კურდღლები გინდათ,—განაგრძო დედამა,—საწუალ დედაბრებს მაგის-გან ცეცხლზე წუალი აქვთ დასხმული. მუდამ ბელელთანა ზის, ან საქათმესთან არი ატუსული, აცა საბურღრიდან როდის ამოკაკანდება დედალიო. ამოკაკანდა ქათამი საბურღრიდან, ის მაშინვე დაბარებულვიით ეცემა საბურღარს, გამოჭსუტავს ახლათ დადებულ თბილ-თბილ კვერცხს და გაქრება უცებ, ასე გვეკონებათ ცაბ ჩაუღაზა ან დედამიწამ კარი უოოო. მივა საწუალი ბებური, უნდა ამოიღოს კვერცხი, მაგრამ რა ჩაგიღვია, რას ებე. იცემს ბებური თავ ჰირში, ემუქრება

კაჭკაჭს, კაჭკაჭი კი იქვე სის და იჩირხნება, მითამ  
 და აქ არა შემოჭეოლაა რაო. თუ კიდევ შეიგულა  
 სადმე კრუსი კვერცხებსე ნაჯდომი, ისე დაჭხარავს  
 კვერცხებს, რომ ერთს წამლათ არ დაუნარჩუნებს.  
 გადმოვა თუ არა კრუსი საბუდრიდან საჭმელის საჭ-  
 მელათ, ან წელის დასაღევათ, მაშინათვე კაჭკაჭი სა-  
 ბუდარშია უირაზე ჩაუდებული. გავა თვე, ბებერსა  
 ჰკონია აი დღეს-სვალ იმისი კრუსი წიწილებს გა-  
 მოუჩეკავს, მივა ნახავს საბუდარს და ჰირ კატა ეცე-  
 მა. სცემს საწვალს კრუსს, რატო წიწილები არ გა-  
 მოძილალო და კაჭკაჭის ჯავრს კრუსზე ურილობს.  
 კაჭკაჭი კი იქვე ეზოში გამოდის, ბოლთასა სცემს,  
 მითამ და არა გაუგია რა. გაბრუნდება ბებერი გულ-  
 დაძწვარი და თვალ-ცრემლიანი საბუდრიდან, კაჭკა-  
 ჭი კიდევ მობრუნდება და ჰუხლუს ისევ სახლის  
 სათავეზე წამოსკუბდება. ეგ რა გინდათ, ერთხელ მე  
 და მამათქვენი ვსხედვართ სოფლის გაღმა ვენასის  
 თაუმი და ვიცინით. ვიცინით და ახლა რაზე ვიცინ-  
 ნით? გამოიტანა ერთმა ბებერმა, სწორეთ ჩვენსპირ-  
 დაპირ, გამოღმა ეზოში, სარისაზე ასმული ახლათ  
 თათარში გავლებული ჩურჩხელები. ბებერს თან ორი  
 მოჩრისვებული შვილის-შვილი გამოჰქუვა. დაჰკიდა  
 ბებერმა სარისა იქვე ლედვის ტოტზე და დაიწყო  
 თვლა ჩურჩხლისა: წუვილი, წუვილი, წუვილი და  
 წუვილი. დათვაღა ბებერმა ჩურჩხელები, მიანარა  
 შვილის-შვილებს: აბა, შვილებო, ბებია გენაცვალოთ,  
 ჩურჩხელებს უური უგდეთ ჩიტებმა არ დაკენკონ და  
 სადამოზე კაკლებს მოგცემთო.

— კარგი, კარგი ბები! შიუგეს ჩქარა-ჩქარა ბეზბიას ორივე ეარაულებმა, — აგრე შავინახოთ ჩურჩხლები, რო ცივი ნიავი არ მივადინოთ.

ბებია დაიმედებული შევიდა შინ. ბავშებმა გაიცილეს თუ არა ბებია, ამოუდგენ აქეთ იქიდან ჩურჩხლის ხარისას და დაუწიეს ჩურჩხლებს შინჯვა. გაშინჯეს, გზდაატრიალ-გაბდმოატრიალეს და ბოლოს სათითაოთ წააძრეს. ცოტა არ იეოს ბავშებს ჩურჩხელა ეგეძრიელათ და ცოტა ხანს უკან კიდევ სათითაოთ წააძრეს. ეს თითო, თითო, რამდენჯერმე გაიმეორეს. ბებია გამოვიდა ჩურჩხლების ხანახავათ.

— აბა, შვილო, ჰატა არ შეჰგნა ჩურჩხლები?

— როგორ არა, ბები, ჰატა კი არა კარგა შეჰგნა, უხასუსეს ეარაულებმა, მაგრამ რა გამოვიდა, ჯერ კი არ იჰმება და? დედამ გვითხრა, ასალმა შემჰგნარმა ჩურჩხელამ მუცლის გვრემა იცისო.

— ძართალია, შვილო, ძართალი, დაუკრა ბებიამაც კვერი და კიდევ გადათვალა ეოველ შემთხვევისათვის ხარისახე ჩურჩხელები: წუვილი, წუვილი-წუვილი და კიდევაც წუვილი. სულ წუვილია, არა აკლია რაო. ცოტა ხანს კიდევ უეარაულები, შვილო, და შემრე კაკლები მხათ არი. — უთხრა გურგულით ბებამ შვილის შვილებს და გაბრუნდა შინისკენ. კიდევაც იკისრეს ბავშებმა ჩურჩხლების ეარაულობა და კიდევ წააძრეს სათითაო, ხანამ ერთ წუვილზე არ მიიუკანეს ხარისა. აქ კი შეუტეოთ ბებიამ ეარაულებს ღალატი და დაედევნათ ეავარჯნით, მაგრამ გვიან-ღა იყო. აი სწორეთ ამახედ რო ვიცინოდით



გააგრძელა შვილების გასწავლობათ კურდღელმა აქია, იქვე გვერდზე ეზომი ბებერმა გამოიტანა ჯარა, შედგამობა კრუსი, წიწილების დედა, რა არი კრუსი თვალწინა ჭევიანდეს და წიწილები კაჭკაჭმა არ დასტაცოს ან არ დაჭხაროს. დაიწყო ბებერმა ჯარის ბზუკუნი, მოიგონა ასალი და ძველი გარდაცვალებული და ვეელას თითო ცრემლი შეაწია, გაჭევა ბებერი ჯარის ბზუკუნს, გაჭევენ წიწილებიც ჭიადუას ბალახებში და კაჭკაჭსაც ეს უნდოდა. გაუსვა კაჭკაჭმა მუსრი წიწილებს და ერთი სილათ აღარ გაუშვა. კრუსს გააქვს სრიაკი, მაგრამ აბა დაბმული კრუსი რას განდებოდა. ბებერი კიდევ ისე იყო სუსუნში გართული, რომ ზარბაზნებიც რო დაგეცალათ ურებთან, ვერას გაიგებდა. გაათავა ბებერმა სუსუნნი, მხეც ჩაჰიდა. მოიკითხა წიწილები, დაიწყო ძახილი: წიგი, წიგი, წიგიო და სადღაა წიგიები. წაიძინა ბებერმა თავსა და ჰირში, მაგრამ წიწილებს კი ვეღარ უშველა რა. კაჭკაჭი ამ დროს იქვე სის ტოტზე იჯდა მიძალული და ქანაობდა წინდა უკან წიწილების მოსანელებლათ. კურდღელმა გაათავა მეორე აქია. შებინდდა. ბაჭიეებმა ბებერი იმხიარულეს და რბე არც კი მოჭკონებიათ, დღამდა და ნასიამოვნებმა მიიძინეს.

მეექვსე დღეა. კურდღლები კარგა ხნის აძლილები იუვნენ. დედ-მამა არიგებდენ შვილებს, როგორ და რა ნაირათ უნდა მოიქცენ, რომ მტერს ხელში არ ჩაუცვივდენ. უცბათ კურდღლები შექუჩდენ. რაღაცა სმაურობაა: ეურმა, ეურმა! აიქვ,

აიქ! მსხვილი კურდღლები მიჭსვდენ, რომ საშინელი განსაცდელი მოეღოთ და შეეძინებოდნენ. „ეგრე სმაურობაა, დედი“, იკითხეს შეძინებულმა ბაცვებმა და ცალის თვალთ გაიხედეს იქითკენ, საიდანაც სმაურობა მოისმოდა. შეჭსვდეს ბატონს. ის იარბღში ჩამჯდარი მოიჩანებოდა ვენახის თავისკენ და ეძახოდა დანარჩენ მწევარ მეძებრებსაც. „ეკა, შვილო, კაცია. ძაგასე ბოროტი არსება ღმერთს არ გაუჩინაო, იტყოდა სოლმე ცხონებული ბებია ჩემი“ მიუგო შვილებს დედამ. ბევრი რამ კიდევ უნდა ეთქვა დედას შვილებისათვის კაცსე, მაგრამ აღარ დასცალდა. გაიღო ჭრიანით ვენახის კარი და შემოვიდა ვენახში ბატონი, ვენახის ჰატრონი, თან შემოიყოლა ერთი ფარა სხვა და სხვა ფერის მწევარ-მეძებრები. მეძებრებმა მაშინათვე აიღეს კურდღლის სუნი და მოედენ ვენახს. დაინახეს კურდღლებმა გააფთრებული ძაღლების სრო. ოჯახი განსაცდელშია. აქ ფიქრი აღარ იყო საჭირო და არც დრო და იყო ფიქრისა. იშვირა მამა კურდღელმა ფესი და გადაენტო სწორეთ იქით, საიდანაც მორობდენ ძაღლები. მოჭკრეს თვალი ძაღლებმა კურდღელს და დაედევნენ ერთი უეფითა და წმუკუნით. კურდღელი მწვანე ნამოვნი იყო და მუსლი კარგათ უჭრიდა, გავარდა მინდორსე და გაიყოლა თან კაცი და ძაღლი. მისდევენ მწევრები ამ ერთი ბეწვა კურდღელს და მისდევს ძაღლებს ქაქანით და უვირილით ბატონიც: დაიჭით და დაიჭითო! არ გაუშვათ, დაიჭითო! ეველახე ახლო კურდღელს ერთი ძაღვი მწევარი მახდევდა.



ბატონმა დაინახა ეს და დაუწყო მუდარა მავს! დაიწყო, შავო, დაიწყო შავო, გენაცვალო, შავო დაიწყო და მცხონეო, მაგრამ კურდღელი ერთი ორათ იქცა შიშისაგან. მიატანა კურდღელმა ერთ სრამს, იპვირა ფენი და კედენთო სრამსე. სცადა შავმაც გადაჭეოლოდა თან კურდღელს, მაგრამ ტუეილათ, ნაპირი შორს დარჩა მავს და თითონ კლდეში გადირეხვა. სანამ დანარჩენი მწევარ-მეძებრები გონს მოვიდოდნენ და სრამს მოუვლიდნენ, კურდღელმა კიდევ შეაფარა ტუეს თავი. დედა კურდღელმა იდროვა მამა კურდღლიდან მწევრების გატუებით და მეორე მხრით გაიპარა ისიც ტუისკენ თავის ბაჭიებით. იმ დღეს კურდღლის ოჯახობამ ველარა ნახეს ერთმანეთი, რადგან მამა კურდღელი კვალის ასარევით, ძრიელ შორს გადისეწა. საღამოსე ავიდა ერთ მადალ სერსე, გამოქეჟა ურო და მიიძინა. დედა კურდღელმაც მოუნახა შვილებს ტუეში მაგარი ბინა და ისინი იქ მიძინა.

მეშვიდე დღეა. მზე ასალი ამოსული იყო. ტუეში ცხელოდა. მუძლმა შეაწუსა პატარა ბაჭიები. ჯერ იმათ არ იცოდნენ მუძლის სუსხიანი ნესტრის მოფხანვა, ტუიდან გარეთ ნიაფსე იწევდნენ. დედა, ნელა ნელა და სიფრთხილით, გამაღა შვილები ველსე, მაგრამ უშინოდა კი, სიფათში არაში გაბმულიყო და გაფაციცებით იუურებოდა აქეთ იქით. უცბათ დედა კურდღელმა დაჭკრა მიწას თათი და დარჩნავლა. ბაჭიები დაინახნენ. ცოტა ხნის შემდეგ ველის მეორე ნაპირიდან წამოვიდა სკუპ-სკუპით ჩვენის კურ-

დღეებისკენ ერთი კურდღელი. ეს იყო ჩვენი ნობი ოჯახის ძამა, რომელმაც გუშინ ისახელა თავი და მშვიდობით გადაარჩინა ოჯახი ძაღლების ფარას და ზირში ჩალა გამოვლებული ვენახის ჰატრონი თავის ძაღლებით გააბრუნა შინისკენ. კურდღელი-ფაღაფანი მივიდა ოჯახთან და მიეაღწერათ. ოჯახსობა დიდ სისხარულს მიეცა, რომ მშვიდობით ჰუნასეს ერთმანეთი. კურდღლებს ძრეულ მოსწონდათ ასაღი ბინა. მშვენიერი, გაძლილი ტუის ზირი და დილა საღამოს ნიაფი. ბაჭიეები მოვარიავდენ, რძე იმათთვის აღარ იყო საჭირო. ესლა ისინი ბაჭიობაში თავს აღარა სდებდენ და სძირათ დედ-ძამის დაუკითხავათაც გამობმანდებოდენ სოღმე ტუის ზირათ ველსე. ეს ბაჭიეების ქცევა მშობლებს არ მოსწონდათ და უშლიდენ კიდევ, მაგრამ ბაჭიეები თავისას არ იძლიდენ.

ერთ საღამოზე ტუის ზირას შემოჭხვდენ ერთმანეთს ორი მოსწავლე მეგობარი თოფებით ხელში.

— გამარჯობა, ლევან, შეუძახა ერთმა მეორეს.

— გაგიმარჯოს, გიგლი, უზახუსა მეორემ.

— სხვა, ბიჭო, ქეიფში როგორ ხარ. გადახველთუ არა? ჰკითხა გიგლამ ლევანს.

— ეჰ! ქეიფში კი კარგათა ვარ, მაგრამ გადახველით ვერ გადახველ. ორ საგანში ჩამჭრეს და განმეორებითი გამოცდა დამინიშეს.

— შენა, გიგლი, განმეორებით გამოცდა სო არაში გაქვს, ჰკითხა ლევანმაც გიგლას.

— არა. მიუგო გიგლამ.



— ეოხად, ბიჭო.

— ეჭ, რა ეოხად!

— რატო, ბიჭო, თუ განმეორებითი გამოცდა არაში გაქვს მეტი რაღა გინდა გადასულსარ და ის არი!

— მე სულ დამანარჩუნეს, ლევან, და აბა რა ეოხად.

— ჭოო. ეგ სხვა არი.

— მანც არა უშავს-რა, უთხრა გულის გასაკეთებლათ ლევანმა გიგლას; წელს არა, მეძრის გადასვალ.

— შარშანც დავრჩი და არ ვიცი როგორ იქნება საქმეო, შეეკითხა გიგლა ლევანს.

— ჭოო, ეგ სულ სხვა არიო და ლევანმა გამოცვალა ლაპარაკი.

— კაცო, რა დაეძარათ ამ ოსერ კურდღლებს, ასე რამ გასწევიტა.

— რათა, ლევან, კურდღლები ბევრი არიან. იქნება შენ არ იცი კურდღელზე ნადირობა და კურდღლებისა რა ბრალია.

— განა კურდღელზე ნადირობასაც ცოდნა უნდა. შეჭნიძნა ლევანმა გიგლასა.

— რასაკვირველია ცოდნა უნდა. მამ შენ რო აიღო თოფი და იარო ტყე-ტყე და ველებსე, თავის დღეში კურდღელს ვერ მოჭკლამ. კურდღელი ძრიელ ფრთხილი ნადირია და მტერსაც შორსა სცნობს. ადვილათ არ მიიყენებს კაცს სათოფეთ, სუნიც იცის, თუ ჰირს ნიავი უქრის, ნახევარ ვერსხედაც გაიკებს ადამიანის მიახლოებას.

— მე სწორეთ ძაგ დღემი ვარ, სიცილით უთნ-  
რა ლევანმა გიგლას. ავიღებ სოლმე თოფს და დაუ-  
დივარ, კურდღელი ხან წინაც გაშირბენს სოლმე,  
მაგრამ მანამ მე თოფს მოვიშხადებ, ის ან ტუქს  
ეცემა და ან შორ მანძილზე გავა.

— კურდღელმა დილა საღამოს იცის ტუიდან  
მინდვრათ გამოსვლა, დაიწყო ისევ გიგლამ. მონა-  
დირეც ამ დროს გადის იქ, სადაც ეგულება ნადი-  
რი. ჩაუსაფრდება ახლო ჯაგს და ელოდება... გამო-  
ვა ნადირი, ესვრის და მოჰკლავს, არ გამოვა და  
შინ წავა, თორემ მთელი დღე რო კურდღელი ეძე-  
ბოს, სო იმას თავისი დაემართა და კურდღელი სო  
დევნათ აღარ ეღირება. ამ სიტუვებით მონადირე ამ-  
ხანაკები მიუახლოვდენ იმ ველს, სადაც ჩვენი ნაც-  
ნობი კურდღლის ოჯახი იყო დაბინავებული.

— უჰ, რა კარგი ველია, დაიძახა გიგლამ, აქ  
ნამდვილათ კურდღელი უნდა იყოს. მონადირეები  
მისხდენ იქვე ველის ჰირათ ჯაგის ძირზე და და-  
იწევენ ცდა ნადირისა. მზე ჭა და ჭა ჩადიოდა. უც-  
ბათ ველზე გამოითამაშა ჩვენმა ოჯახის თავმა, ნაც-  
ნობმა მამა კურდღელმა. მიიხედამოიხედა. აწაფინ  
არი. მისცა ნიშანი ოჯახობას. მონადირეებმა დი-  
ნახეს კურდღელი, დაუწყოთ გულმა ბაგიაბუგი და  
არ იცინან ვინ წინ ესროლოს ნადირს თოფი და  
ვინ უკან. ამ რჩევაში რო ივენენ მონადირეები, ველ-  
ზე გამოჩნდა დედა კურდღელიც თავის შვილებით.  
შექუჩდენ კურდღლები ერთათ. მამა კურდღელმა,  
რადაც სუნი აიღო. დაიწყო ერთ ალაგას ტრიანლი-



მისცა ნიავს ცხვირი, ძაგრამ ნიავი ზურგიდან და ვერა გაციო რა. ბოლოს გადაჭსედა ჯალაბობას, ანიშნა—განსაცდელში ვართო და ის იყო უნდა გადამსტარიყო ტუისკენ..

ჴას! ჴას! მოისმა ერთი მეორეზე თოფის ხმა. ტუისკენ გადასასტომი კამარა მამა კურდღელმა ჴაქრში გააკეთა. ტუვია მოხვედრილი ნადირი შვეპარა და მადლა და უსულოთ დაეცა მიწაზე, სადაც რამდენიმე ალაგას ტუვია მოხვედრილი დედა კურდღელიც სულსა ჴლეგდა თავის შვილების თვალწინ, რომლებმაც ჴერ არც კი იცოდნენ რაში იყო საქმე და დანაბულები შეჭეურებდნენ სულთ მობრძავ დედას. ნადირებს მისცვივდნენ მონადირეები. ბაჭიეებმა დაინახეს იმათკენ მონარბენი ამხანაგები. მოაგონდათ ის სასე, რომელსედაც დედამ უჩვენათ, რომ მაგახედ ბოროტი არსება ღმერთს არ გაუჩინიაო და გულგახეთქილები შეცვივდნენ ტუეში. თბლათ დარჩენილი ბაცაცეები რამდენიმე დღე დარჩენ ტუეში, მაგრამ ვერ ისვენებდნენ, ეძინოდათ ათას ნაირ ტუის ნადირისა. ერთ სადამოზე ბაჭიეებმა მოილანჯარაკეს. მოდი ისევ ჩვენ ძველ ბინაზე წავიდეთო. მოილანჯარაკეს და გამოსწიეს ნაცნობ ძაველის ბარდისკენ ვენახში. ბაჭიეები დაბინავდნენ ბარდში და იქიდან თავის დროზე გამოდიოდნენ ვენახში და ვენახის სანაპიროებზე, საჭმლის საძოვრათ. მზე კარგა წამოდგარე იყო, ჩვენებიანთ ვენახში რაღაც სირბილია ძველისა. ჴაი! ჴაი! სელების ქნევით დარბოდა ვენახის ძველუ ივანე და ლანჯარაკობდა თავის თა-

ვით, ვერ უეურებ ამ ოხერ კაჭკაჭებს რა უქნათ  
 საცოდავი ბაჭიებისათვის. ივანეს ხელში ორი გულ-  
 შეღონებული ბაჭია ეჭირა და აქეთ იქით ატრია-  
 ლებდა. ცოტა ფიქრის შემდეგ, ივანემ მოამტვრია  
 ნორჩი ვახის ელორტები, ჩააგო თავის აბგაში,  
 ჩასვა შიგ ორივე ბაჭია და ჩამოჭკიდა იქვე  
 ვენახის ბოლოს ჰანტასე. — კაჭკაჭები ზირში ჩალა  
 გამოვლებულები გაფრინდენ ჭრისვინ ჭრისვინით  
 და მუქარით ტუისკენ. დაიცა, კუზიანო ივანე, შენ  
 სო გამოგვკვლიჯე ჰირიდან გემრიელი ლუკმა და რა  
 დღე დაგაქენოთ სამაკიერთო, მეგუწიოს ურძენი!  
 შარშან სო გაწევევლინეთ თავ-ბედი: ნეტავი — ვენახის  
 ძვეელობა სხვისაც არ გამოგო, თორემ შე რას დაუდგე-  
 ბოდიო, ესლაც უარეს მოელოდებოდეთ. გახსოვს  
 შურდულიც რო მოგზარეთ და ქვებსაც რო ველარ  
 გვესროდიო... ნაწილობამაც მოატანა. ივანეს ცალი  
 თვალი და ეური ვენახის თავისაკენ ეჭირა. საუზ-  
 მეს ელოდებოდა.

— ივანეეე! ივანე, ძიიავ! ივანეეე! მოისმა სმა  
 ვენახის თავიდან. ივანე მაძინათვე მიჭხვდა რა-  
 შიაც იუო საქმე, მივიდა საჩქაროთ ჰანტასთან, ჩა-  
 მოიღო აბგა, რაშიაც ჩასვა წელან კურდღლის ბა-  
 ჭიეები და გასწია ზევით ვენახის თავისაკენ ხუსხუ-  
 სით. კიდევ ისმის სმა მახილისა. ივანეეე! ივანე  
 ძიიიავ!

— რა იუოთ, შვილო რააა? გაბგონათ ივა-  
 ნემ.

ივანემ დაინახა ვენახის კარებთან ბატონის ჰა-



ტარა ქალები ნინა და მაკრინე. ნინას ხელში რა კადაფარებული სინით ეველი და ჰური ეჭირა, მაკრინეს პატარა ჩარქით არაუი თავის საწუაო არაუის ეანწით. ივანემ გააღო კარები.

— აბა, ძვილო, რა მოძიტანეთ?

მე ჰური და ეველი მოგიტანე, ივანე მია, მაუგო ნინამ.

— მე კიდე არაუი მოგიტანე, მიაჰ, შედევე დაატანა ნინას მაკრინემ. ივანემ ალერსიანის თვალით შეჭხუდა ჩარქას და დაუწყო უღვაშებს სწორება. — მაკრინე, შენ, არაუი მოძიტანე, ძვილო? ამ სიტყვებით ივანემ წაიღო აბგისკენ ხელი, ამოიუვანა ჯერ ერთი ბაჭია და მიასოდა მაკრინეს შემდეგის სიტყვებით: „მე კიდე აი რა მოგიუვანე, ძვილო. ივანეს ჯერ ისევე ხელში ეჭირა ბაჭია, მისცვივდენ ბავშვები აქეთ იქიდან სტომ-სტომით და ხელების ძლით: — მე მამე, მე მამე, მიაჰ, შენა ჭირიმე, მე მამე.“

— ეს მაკრინესია, რადგან მაკრინემ არაუი მოძიტანა, სთქვა ივანემ და კურდღლის ბაჭია გადასცა მაკრინეს. ნინამ დაინახა თუ არა მაკრინეს ხელში ბაჭია, გული ამოუჯდა და ის იყო ზურნის მოძართვის აპირებდა, რომ ივანემ აბგიდან ამოიუვანა მეორე ბაჭიაც. ამ დროს ნინას თვალებზე ხელი ეფარა და ტუჩები ეკუჭებოდა.

— ეს კიდე ნუცკასია, რადგან ნუცკამაც კარგი საგმალი მოძიტანა. ხელის და წუნარის ხმით დაილაპარაკა ივანემ. ნინამ სისარულით გამოართვა ივანეს ბაჭია და მიიკრა გულზე. მაკრინემ პირველმა გაშინჯა ივანეს საჩუქარი და სიბრალულის ხმით

დაიწყო ზუსუნი: ვაი, ვაი, საწყალს ბაცაცას რა, ნათ  
 რათ აქვ დაგლეჯილი ხორცები და თვალები დაკაწ-  
 რული. ნინამაც გაძინჯა თავისი კურდღელი და და-  
 უწყო იარაზე ბერვა. ესე რას დაუკლევია ბაცაცები,  
 შევეითსენ ბავშები ივანეს. რომელიც ჰირში ნერწევ  
 მოსული უეურებდა არაეის ჩარექას.

— ეგა, შვილო, კაჭკაჭებმა უევეს, თუ მე არ შევ-  
 სწრებოდი და არ გავაურევინებდი, შესჭამდენ ის წვე-  
 ულები. მაგრამ სულ-კი მაკ ბაჭიების ბრალია და  
 მაგათსე ანია. გამოსულიყვნენ დღისით, და დასტო-  
 დენ ვენახში უდგდამამოთ, უშატრონოთ.

ივანემ აღარ განუძარტა ბავშებს როგორ და  
 რა ნაირათ გადახანარუნა ბაჭიები კაჭკაჭების კლახ-  
 ჭებს, რადგან არაეის ეძნით უკვე მთვრალი იყო და  
 სალახარაკოთ აღარ ეცაღა, გასწია თავის საგძლით  
 ხუსხუსით ვენახის ბოლოსკენ, სადაც ჰანტის ქვეშ  
 ბინა ჭქონდა დადებული. მაკრინე და ნინამ კიდევ  
 გასწიეს შინისკენ სათითაო ბაჭით ხელში წივილ-  
 კივილით.

— რა იყო, შვილო, რა დაგეძართათ, შეჭნიძნა  
 სირბილისაგან მოქანცულ ბავშებს დედა მეღანიამ.

— კურდღლის ბაჭიები, დედი! კურდღლისა! მი-  
 უკეს დედას ნინამ და მაკრინემ.

— შერე ვინ მოცნათ, შვილო, და ან რაღა მო-  
 გარბენენებდათ, განა ვიღა გართმევდათ.

— არაეინ კი არ გვართმევდა, დედი, მაგრამ  
 ისე სისარულით გამოვიქეცით. ივანეს კაჭკაჭების-  
 თვის გვეურევინებინა საწულები და ნაწილი რომ ჩაუ-



ტანეთ იმან მოგვცა. მელანამ დაუწუო ბაჭიეებს შინ-  
ჯვბ და სიბრალულით სელის სმა:

— საწულები რა საშინლათ არიან დაწიწკნი-  
ლები.

— ეკ, დედი, თურმე ბაცაცების ბრალი ეოფი-  
ლა, უამბეს ბავუბმა: ივანემა თქვა რო უდროო დროს  
უდედამამოთ ვუნახებში დასტოდენ და ახათაც მო-  
სკლიათო.

— ჰო შვილო მართალი უთქვამ ივანეს, გაამა-  
რთლბ ივანეს ნათქვამი მელანამ. ამათ რო დედა  
გკერდსე ჰეოლოდა კაჭკაჭები ვერას დააკლებდენ. ალ-  
ბათ არ გაიგონეს მშობლების დარიკება და ეკე რა  
დღეში ჩაცვიფნილან, როგორ დაუწიწკნიათ კაჭკაჭებს.

— ესლბ რა უეოთ, დედი, ბაცაცებს, რა ვაჭა-  
ძოთ, შეკკითსენ დედას ერთ სმათ ნინა და მაკრინე.

— რა უნდა აჭამოთ, შვილო, მიუგი დედამ. სანამ  
ცოტა მობრუნდებიან და იარებიც დაუშუდებათ, კარ-  
გათ უნდა მოუაროთ, დაბანოთ გასისხლიანებული  
ტანი და ასვათ რმე, მერე რაეი გაშინაურდებიან სა-  
სრდოს თითონ იმოვნიან. სასლის გარშემო და ბა-  
ღჩაში. ნინამ და მაკრინემ დაჭბანეს ტანი კურდღლებს  
და ძალე ჩვენ-ავათყოფებს ედვათ წინ თბილი, შა-  
ქრით დამტკბარნი რმეც. ბაჭიეები მრეილა ჰკვანდენ  
ერთმანეთს, ორივეს შუბლსე ნიკორა ჰქონდათ და  
დებს მრეილ უმწელდებოდათ გამოცნობა რომელი  
რომლისა იყო. აქაც დებმა ისერსეს. ნინამ თავის  
ბაცაცას ევითელი უელის ფოჩი შეაბა და მაკრინემ—  
წითელი. ბაჭიეები ჯერ-ჯერობით ჰფრთხოდენ, ბავუ-

ბსაც და საჭმელ სასმელსაც, მაგრამ ძაღუ იარკობიც მოურჩათ და ისე შეეჩვივენ ბავშებს, რომ აღარ უსვენებდენ, გვეთამაშეთო. კურდღლების კუნტრუმი და სტუნვა ძრეელ ახარებდათ ბავშებს, მაგრამ ერთი რამ აფიქრებდათ იმათ. ძაღუ სასწავლებელში წასვლის დრო მოსდიოდათ დებს და არ იცოდენ რა ექნათ ბაცაცებისთვის. ბოლოს გადასწევით სთხოვონ დედას კურდღლების შენახვა და წერილებით იმათი ამბის შეტობინება სასწავლებელში. დედამ იკისრა შვილების გადაწვევით იტლება, მსოფლით იმ ჰირობით, თუ ისინი კარგათ ისწავლიან და თავისი კარგი სწავლით და ეოფაქცევით გაახარებენ დედ-მამას. ჰირობა დაიწერა და ზედ ბეჭედიც დაესვა. ერთ მშენიერ დილას ნინა და მაკრინე გამოეთხოვეთ თავის წითელ-ვეითელ ეელ-ფოჩიან კურდღლებს, დაჭკოცნეს უკანასკნელათ ისინი და ამხანაგებთან ერთათ გასწიეს მატარებლით ქალაქთბილისისკენ. ერთი კვირის შემდეგ გაიმართა მიწერ-მოწერა დედა ძელანასა და მის შვილებს შორის ჩვენ ნაცნობ ბაჭიებზე, რომლის შინაარსსაც მოვახსენებ ჩემ ჰატარა მკითხველებს შემდეგ წერილში.

გ. დ. ჭრელაშვილი





## ზ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

წარმოდგენილი ალ. იასლაშვილისაგან

უფეხოთ ღარბის, უხელოთ აბრახუნებს.

---

პაპა ხიდს აკეთებს უცულოთ და უფიცროთ

---

ჩავაგდე ოსპის ოღენა, ამოვიღე კოჭბის ოღენა

---

ერთ აყრია მთაზედა ორი საბელი გღია.

---

## ზ ა რ ა დ ა.

მისგანვე წარმოდგენილი.

ცივის მოწინააღმდეგეს

მიაწერეთ ბოლოს ნოტა;

მაშ ვნახოთ ვინ გამოიცნობს?

ჯაფა უნდა მეტათ ცოტა.

---

## გეოგრაფიული ამოცანა:

(მისგანვე წარმოდგენილი.)

1. რვა ასოთი შეადგინეთ მონასტრის სახელი.
  2. ექვსი ასოდან - ოსმალეთში მყოფი საქართველოს ნაწილი.
  3. ექვსი ასოდან - პატარა ქალაქი ჯავახეთში.
  4. ხუთ ასოდან - მდინარე იმერეთში.
  5. შვიდ ასოდან - ქალაქი დასავლეთ საქართველოში.
- ამ სახელების თავი ასოებიდან გამოიყვანეთ გამაჰმადიანებული საქართველოს ერთი ნაწილი.
-

ღამაკვირი.

(გაგონილი და ჩაწერილი ალექს. მირაქიშვილის მიერ).

ძუნწი აგროვებს, მხოლოდ ეშმაკი იმას სამარეს უმზადებს.

ავი იმარხება სიკეთით, სიძნელე ჭკუითა, და სიმარცხე  
გამოცდილობით.

ათასი მოკეთე ცოტაა, ერთი მტერი კი ბევრია.

რ ე ბ უ ს ი.



100 'ე  
ნაღველი ანუ?



გამოცანებისა: ხანჯალი, მარილი, მთვარე.

შარადა: კალამი.

რებუსი: დარდი გულს აფუჭებს.





\* \* \*

ას ჩირგვთან კრძალვითა  
თავი ამოუყვია,  
ჩირგვს შტო მზით შევერცხლილი  
განზე გადაუწყვია! —

იქვე ახლოს ლერწამზე  
ჩამომხტარა ბუღბული,  
აღვის ხეს სტუმრებია  
ნაზ-ნარნარა გუგული!

ცოტა ქვემოთ, დაღმართში  
შაშვი ჩამოფრენილა  
და იქ კურდღლის ყურ-ცქვიტა.  
ბაქიაც გაჩენილა!

იაღონის სიმღერა,  
შაშვის ნელი ქახქახი  
და ბაქიას ფუსფუსი,  
კრთომა, შიში, ვაგლახი!..

იმ მშვენიერ ბუნებას  
ისე ეწონებოდა,  
როგორც შვილი თვის დედას.  
გულში ეკონებოდა!

შევცქეროდი ამ სურათს,  
შევცქეროდი კრძალვითა  
და სიამეს ვგრძნობდი დიდს  
ჩემთვის გულში მალვითა!

ლადო გიგეჭკორი..

# ამბავი ზესკნელისა.



ქართლი მეკვსე.

მთვარე.

I.



ა დიდი მწყალობელია ჩვენი, ჩვენი დიდებული მზე, ეს იქიდანაც სჩანს, რომ არამთუ დღისით ღამითაც კი არ გვაკლებს თავის მადლს—ღამითაც გვინათებს და უხვათ გვიგზანის ცივ სხივებს, ამას აი როგორ ახერხებს: დღამიწის მხლებლათ, ღამის გუშაკათ,

მზეს აურჩევია, მიუჩენია მთვარე. ხოლო რადგან თითონ მთვარე თავის თავად ისეთივე შავი და ბნელი სხეულია, როგორც ჩვენი დედამიწა, ამიტომაც მზე უგზანის მთვარეს თავის ძრიელ სინათლეს, მზე ანათებს მთვარეზედაც იმავე ძალით, როგორც დედამიწაზე. მზიდან მიღებულს, აკრეფილს სინათლეს მთვარე უკანვე გამოკრთის და დედამიწას უგზანის, ლამპარივით უნათებს და თავს ევლებს შეუცდომლათ.

თვით მთვარის ფაზები \*) გვემოწმებთან, რომ მთვარე ისეთივე უსინათლო და უშუქოა, როგორც პიტალო კლდე და ხრიაკი მთა და ბარი. უკვდავ მეცნიერის კეპლერის მასწავლებელმა მესტლინმა (1596 წ.) აღმოაჩინა, რომ არც თუ ჩვენი მთა ღ ბარი ყოფილა უშუქო და უსინათლო, მაგალითათ, როდესაც ახალი მთვარე ნამგალივით გვეჩვენება, მაშინ კარგათ რო დავაკვირდეთ ისე უბრალო თვალითაც, მთლათ მთვარის დისკი \*\*) სჩანს მქრთალი ნაცრის ფერის შუქით მო-

\*) ფაზა, ფაზისი ბერძნული სიტყვაა, ეწოდება მთვარის დრო გამოშვებითი ცვალებადობას, მაგალითათ, ჩვენ ვამბობთ: ახალი მთვარე, ძველი მთვარე, სავსე მთვარე, მილეული მთვარე, მთვარე დაიბადა და სხვ.: აი ამ პერიოდულ ცვლილებებს ეწოდება ფაზა ანუ ფაზისი.

\*\*) დისკი ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს სინივით მრგვლათ მოხაზულს რამე საგანს, შეიძლება დისკი უწოდათ ურმის თვალის მოხაზულობასაც.

ცული. ეს მოვლენა უფრო ცხადლივ სჩანს მთვარის დაბადების 2 3 დღეს და აგრეთვე დაბადების წინა დღეს. ეს მოვლენა თურმე გამოწვეულია იმით, რომ თვით ჩვენი დედამიწაც უგზანის მთვარეს მზის სხივებს (დღისით), მქრთალათ აშუქებს მთლათ მთვარეს, მის დისკს.

თანამავლი დედამიწისა, ჩვენი ღამის გუშაგი ნაზი მთვარე, ცის სხეულთა შორის, ჩვენი უახლოესი „მნათობია“, მზის მიმზიდველობისა გამო მთვარე ყოველთვის ერთს მანძილზე როდია ჩვენზე დაშორებულიუახ, ლოესი მანძილი 356 ათას კილომეტრს უდრის და უშორესი 407 ათას კილომეტრს. \*) დიდ ზრდილობათ უნდა ჩაეთვალოს მთვარეს ის მისი ქცევა, რომ თავისი ტუტუცი პირისახით მარად ეამს დასცქერის თავის ბატონს დედამიწას, სულ თვალში შესცქერია. ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რაც ცა და ქვეყანა შექმნილა, რომ მთვარეს როდისმე ზურგი ეჩვენებინოს დედამიწისთვის. მომაგონდა ოსმალური ეთიკეთი—მოსამსახურე არას გულისთვის ზურგს არ შეაქცევს თავის ბატონს თუნდ სხვა წარჩინებულსაც. მაგალითად წყალი მოგართვათ, ახლა ოთახიდან უნდა გავიდეს პირი თქვენკენ აქვს და ისე უკან უკან მიდის ვიდრე კარებს მიაწყდება. მაჰმადიანებში საზოგადოთ ასე ექცევა უმცროსი უფროსს.

მთვარის მოძრაობას, მის მსვლელობას დედამიწის გარშემო (თავს როგორ ევლება დედამიწისაო და სხვ.) გატაცებული იკვლევდნენ და იძიებდნენ უუდიდებულესი მეცნიერნი, გენიოსი გეომეტრები და ასტრონომები: ნიუტონი, კლერო, დალამბერი, ეილერი, ლაპლასი, პაუსსონი, დელონე, ადამსი, ჰანზენი და ჰიულდენი (ახლაც იკვლევენ). ეს საღმერთებელი სახელები იმას მოწმობენ თუ რამდენათ საყურადღებოა ჩვენი უახლოესი ცის „მნათობი“ მთვარე და მისი მოძრაობის კანონები. ასტრონომები მზეს მაგრე რიგად ვერას უბედავენ, თვალს ვერ უსწორებენ, თორემ მთვარე კი, სიცოცხლე გაქვს, მათ დაბრიყვებული ჰყავთ, დაბალ ღობეთ გადააქციეს. ფოტოგრაფიულ აპპარატის შემწეობით მთლად

\*) ჩვენი ქვეყნის ღრუბლები ყოველთვის ჰფარავენ მთვარის სინათლეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთვარემდე ღრუბლებიც კი ვერ უწევს, რომ უკან მოექცნენ.



მთვარის გეოგრაფია და ტოპოგრაფია ისევე კარგად აქვს შესწავლული, როგორათაც დედამიწისა.

გაგონილი გექნებათ ერთხელ მთვარემ დედა ძრიელ გააჯავრა. დედა ამ დროს თორნეზე პურს აცხობდა.— „მომშორდი, ქალო, თავიდან, გულს ნუ მიწუხებ, თორემ ისეთს სილას გაგაწნავ, შენმა გაზრდამ, რომ შენი ღღენი გახსოვდეს“ ქალი (მთვარე) თავისას არ იშლიდა, დედამ ერთი კი შესძახა — „ქალო, იქით გამეცალეო!“ და ცომიანი ხელით მართლაც და ისეთი ლაზათიანი ალიყოლი გაუშალა, რომ მთვარეს დღესაც ნასილავი ეტყოზა პირისახეზეო. ჩვენი ხალხის ამ თქმულობას მეცნიერები ზალა თქმა უნდა არ დასჯერდნენ. მთვარეს ღურბინდი დაუმიზნეს და რას იტყვიო, რომ იქ არ აღმოჩნდა.

მეცნიერმა ჰეველიემ პირველმა აღმოაჩინა მთვარეზე გორები, უშველებელი მთები, გაზომა კიდევ ამათი სიმაღლე (ჩრდილის მიხედვით) \*)—ბოლოს ამასაც აღარ დასჯერდნენ, გამართეს და დასდგეს აბსერვატორიებში საუკეთესო ფოტოგრაფიული აპპარატები და მთლათ მთვარე ნაწილ ნაწილათ გადაიდგეს. დღეს საუკეთესო ფოტოგრაფია მთვარის სახის გადმოსადებათ გამართულია ლიკოვის აბსერვატორიაში. გადაღებულ ფირფიტებს (სურათებს) შემდეგ აღიდებენ პრაგაში (ვეინიკია ამ საქმეში დიდათ დახელოვნებული). მთვარის ფოტოგრაფიით ძრიელ გატაცებულნი არიან ძმანი ჰენრი (ჰენრიები) პარიზში, პრინცი ბრიუსელში და სხვა. ხოლო ინგლისში არსებობს მთვარის მოტრფიალეთა დიდი საზოგადოება, რომელიც არას იშურებს მთვარის საუკეთესოთ, ზედმიწევნით შესასწავლათ.

მთვარის ტოპოგრაფიის შესახებ მთელი ტომებია გამოცემული (საუკეთესო ითვლება მეცნიერის ელგერისა). ჩვენკენ მოქცეულ მთვარის სახეზე აღმოჩენილნი სიპრტყის უსწორ მასწორობა ოთხ მთავარ ჯგუფათ გაჰყვეს: ხეობანი და ღელეები (mar:a, palus, lacus, sinus), კრატერები (ცეცხლის მფრქვევი მთების დაღრენილი პირი), მთები (ცირკი

\*) მთვარის საუკეთესო რუკა შეადგინა ასტრონომმა ნეისონმა 1876 წ., როგორც გლობუსი ისე არის მთვარის რუკაც დაყოფილი, დახაზული ყოველ წერტილის შესასწავლათ.



უწოდეს მეცნიერულათ და ნაპრალები (R:llen). ახალრ უკვ-  
ლაზე მეტი ზღვები აღმოჩნდა მთვარის ჩრდილო მხარეს. (ზღვის  
სახელით მონათლეს მეცნიერებმა უშველებელი ჩაბნელებული  
არემარენი). სულ 14 „ზღვა“ არის მთვარეზე და ყველას თა-  
ვის სახელი ჰქვიან.---გარდა ამისა 8 სივრცეა ამ სახელებით:  
palus, lacus და sinus. ზღვებს ნაცრის ფერი აქვსთ, ზოგს  
კი როგორც მაგალითათ ზღვას Humorum და serenitatis  
ამათ მწვანე ფერი დასცემს, მთვარეზე თითქმის იმ გვარივე  
მთებია, როგორც დედამიწაზე (გარეგანი შეხედულობით,  
ფორმით) მეტი წილი მომრგვალოა, არც ისე მაღალია, მაგ-  
რამ ფესვი კი განივრათ აქვსთ გადგმული. ცირკის შუა გულ-  
ში აღმართულია ერთი ზოგჯერ კი ორი მთა. მთვარის მთე-  
ბის სიმალეს მათივე ჩრდილით გულისხმობენ—სწორი მი-  
დამოდამ ზომავენ მთის ჩრდილს.

უუდიდესი მთა მთვარეზე არის ლეიბნიცი, რომელიც სი-  
მალით 7600 მეტრს უწევს. თავის სივრცით და სიმშვენიე-  
რით გამოჩენილნი არიან ცირკები სახელათ პლატო, ტიხო,  
არისტარხუსი, კოპერნიკი, და კეპლერი. ყველაზედ უდიდესი  
მთა-გრებილი მთვარეზედ არის აპენინი. რა მრავლათ არის  
მთვარეზე მოფენილი (მოქსაქსული) კრატერები (გულკანის  
ყელი) ეს იქიდანაც სჩანს, რომ შმიდტის მიერ შედგენილ  
მთვარის რუქაზე 33 ათასი კრატერია აღნიშნული. \*) მთელს  
მთვარის პირზე ხედება ნაპრალები (R:llen), რომელიც სწო-  
რი ხაზით მიემართებიან და სიგანეც ნაპრალისა თანაბრათ მის-  
დეს თავიდან ბოლომდე.

მთვარეზედ არსებულს ოღრო-ჩოღროს ასე ხსნის მეც-

\*) მთვარის მთებს და კრატერებს ჯერ-ჯერობით 368 აღამიანის  
სახელები დაანათლეს. ეს სახელები ეკუთვნით უკვდავ მეცნიერებს და  
გამოჩენილ მომავდაეებსაც, აი სხვათა შორის; არხიმედი, ტარიჩელი, ო-  
რემიური, ჰუმბოლდტი, ლავუაზიე, ლაპლასი, ჰალილეი, ნიუტონი,  
შილლერი, კლერო, კუკი, კოლუმბი, მაგელანი, გუტენბერგი, იულიუს-  
ცეზარი, პლუტარხი, სენაკა, ლინნეი, პალლასი, ბერცელიუსი, ფრანკ-  
ლინი, კოპერნიკი კეპლერი. ასე გავსინჯეთ ერთი მთისთვის ნასრდინი  
შაზის სახელიც კი დაუნათლიათ. ვსთქვათ შაზინ-შაზს შეეძლო დიდი ფუ-  
ლი შეეწირნა ასტრონომიულ გამოკვლევისთვის. აბა, ყმაწვილებო, მოი-  
გონეთ, ამისხენით ამ სახელოვან პირთ რა სამსახური მიუძღვისთ კაცობ-  
რიობის წინაშე.

ნიერი ფაიე (Faye): ოდესღაც მთვარე წარმოადგენდა ცნობ-  
ლის ლაფს (კომივით ტალახს, ამ დროს დედამიწის მიმზიდ-  
ველობა დიდათ მოქმედებდა მთვარის ვითარებაზე. თანდათა-  
ნობით მთვარე ცივდებოდა, შეიმოსა ქერქით, ქერქი ალაგ-  
ალაგ სქდებოდა, ლაფი ამოხეთქდა და ისე ამ დღეში იყო,  
ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდაო.

მთლად მთვარე პიტალო კლდესავით შიშველი და ცი-  
ვია. არავითარი სიცოცხლის ნასახი იქ ჯერაც არ არის აღ-  
მოჩენილი, უმთავრესათ იმიტომ რომ მთვარეზე ჰაერი, ატ-  
მოსფერა არ სუფევს და თუნდაც იყოს, ჩვენი დედამიწის ატ-  
მოსფერას ვერას გზით ვერ შეედრება. მეცნიერს ჰანზენს შე-  
საძლებლათ მიაჩნია თუ ჩვენკენ არა, მთვარის უკანა მხარეში  
იყვეს შესაფერი ატმოსფერა.

მეცნიერმა ცელნერმა ფოტომეტრიულ გამოკვლევით  
დაამტკიცა, რომ სამსე მთვარის სინათლე ჩვენამდე ჩამოსული  
მზის სინათლის ძალას სულაც ვერ შეედრება, 619 ათასჯერ  
სუსტია

ამ განსხვავებას ხო ჩვენც ვხედავთ ყველანი, მაგრამ  
მანც გამოანგარიშება იყო საჭირო. 1846 წ. მეცნიერმა  
მელლონიმ პირველმა აღმოაჩინა, რომ მთვარე სითბოსაც  
(მზის) უგზანის დედამიწისაო, მაგრამ ეს სითბო ისე მცირედი  
აღმოჩნდა, რომ სალაპარაკოთ არა ღირს.

რა დიდი გავლენა აქვს მთვარეს ჩვენს დედამიწაზე, ეს  
აშკარათ სჩანს როცა ზღვას და ოკეანოს დააკვირდებით.  
მთვარის გავლენით ეს ზღვა წყალი საშინელის ძალით ნაპი-  
რებისკენ მოხეთქს, მოვარდება, მოაწყდება და მერე კი ზღვა  
ისევ უკან იწევს შუაგულისკენ, ამაზედ შემდეგ წერილში  
მოვახსენებთ.

ილ. ალხაზიშვილი.



ღ ა მ ე .



აზე არ მოსიანს ღამის მნა-  
თობი,  
ძაძით მოსილს ტყეს მისძი-  
ნებია,  
არ იძვრის სიო, არც ფრი-  
ნავს ჩიტი,

სიანს ქვეყანა ცას დაჰმონებია.

ანკარა წყარო ჩუმ-ჩუმით მიხტის,  
ბალახზე მალვით და კლაკენით სცურავს;  
აკვნათ მიწა აქვს თვისივ გათხრილი  
და საბნათ მწვანე ბალახი ჰხურავს.

ამა წყვილიაღში ვარდისა შტოზე  
ნაზათ დამღერის ღამის მგოსანი.  
მხარს უმშვენებენ ია, ზამბახი.  
და იქვე მდგომი წყლის პირს სოსანი.

კ. გოგოლაძე.



# მ ბ ი.

(ბიძის ჟორჯის ხსენებით)

## VI.



ალაქის ქუჩებში მუდამ ჯარები მიდი-  
მოდიოდნენ და ჩვენსა კი არ ჩერდე-  
ბოდნენ. მამას მეომრების სანახავათ  
მივყვანდი, მაგრამ მე უარს ვეუბნე-  
ბოდი. ომი დასოლდათები მე  
წიგნში უფრო მომწონდა,  
ვიდრე ნამდვილათ: ძალიან  
ვწუხდი, რომ ყოველ დღე სხვა და  
სხვა ნაკლოვებებებს ვხედავდი.

ლიუსი დღე და ღამ კორპიის მზადებაში იყო. ის გულ-  
მოდგინეთ და ჩაფიქრებული მუშაობდა. დიდი ხნის ყოყმანის  
შემდეგ მეც შეველა გადავწყვიტე და ვითომ და ხუმრობით  
უთხარი:

— აბა ერთი მეც ვმინჯავ, როგორ უნდა კორპიის გა-  
კეთება.

— მაღლობა ღმერთს! მოჰკვიანდი! - მითხრა მან.—აი  
უყურე... ადვილია.

უნდა ფრთხილათ ძაფები გამომეძრო. მართლაც, რომ  
ძნელი არ იყო, მაგრამ მე ძალიან უშნო და მოუხეშავი ვი-  
ყავი. ხშირათ ლიუსი მიჯავრდებოდა და მე ყველაფერს ვით-  
მენდი. წინათ, რასაკვირველია, ამისთანა პატარა ქალს ნებას არ  
მივცემდი ესწავლებინა, თუმცა იმან ყველაფერი ვაჟებზე უკეთ  
იკოდა; ეხლა კი ვითმენდი, რომ დაჭრილებისთვის კორპიის  
დარღვევა მესწავლა.



ამ დღიდან ჩვენ ბაღში ერთათ ვმუშაობდით.

ერთხელ როცა სახლში დავბრუნდი ყველანი ძალიან ადევლებული და შეწუხებული იყვნენ. ამბავი მოსვლოდათ, რომ პავლე დაქრილი იყო და ქრილობის შესახებ ვათ წაყვანათ. როგორ არის დაქრილი, სუბუქათ თუ მძიმეთ და სად არის, არავინ არ იცოდა.

დედა აღარ ტიროდა, ოთახში დადიოდა და იძახდა:

-- მე შინდა წასვლა და კიდევ წავალ, თქვენ ვერ და მისლით. მე ეხლავე, ამ წუთში წავალ.

მამა ცდილობდა დაემშვიდებინა:

— რას ამბობ, ქალო... შენ იმასთან ვერ მიაღწევ... გზები შეკრულია! ჯარებია გაჩერებული...

— ყველგან მივალწევ, გავივლი! დედა შვილთან უთუოდ უნდა მიუშვან!

მე შეშინებული დედას მივვარდი:

— დედა, დედა, ნუ წახვალ!

დედამ ჯერ ხელი მკრა, მაგრამ მაშინათვე ხელში ამიყვანა, მაკოცა და მამშვიდებდა.

მამა კი ოთახში დადიოდა და იძახდა:

— მარტო ქალის წასვლა შეუძლებელია, ორივეს წასვლა ერთად კი არ იქნება! ბავშვებს ვის დაუტოვებთ?

— არა, არა! — ვყვიროდი მე გამწარებული.

— გაჩუმდი!.. მე მარტო წავალ! — სთქვა მამამ.

— შენთვის კი საშიში არ არის? უპასუხა დედამ.

— კაცი უფრო ადვილათ მოახერხებს.

— შენს აქარ ყოფნაში მტერი რომ შემოგვესიოს?

— არა, ჩვენები იმათ უკუაგდებენ, აქ არ მოუშვებენ!

— ხვალ რომ დამხმარე ჯარი მოეშველოთ და ჩვენები უკუაგდონ?

— არა, არა! მე ომს თვალყურს ვადევნებ: ეხლა ეს შეუძლებელია.

— შენ ამას წინათ სულ სხვას ამბობდი!

— ვცდებოდი.

ეხლა მამას უნდოდა წასვლა და დედა უშლიდა.

— მამა, დარჩი! — ვსთხოვდი მე.

მე ყურს აღარავინ მიგდებდა.

— თავი დაგვანებე, სხვის საქმეში ნუ ეჩხირები, გესმის?

დღეა მალე დასთანხმდა, როდესაც მამამ უთხრა, თუ წასვლას დაუშლის პავლე მოუვლელათ დარჩება.

— არა, არა, ოღონდ კი იმას ეშველოს რამე!

— მაშ ეხლავე გავეშავებ. ახლოს არის, სულ ოცი ვერსის სიშორეზეა. წავალ, ვნახამ, გავიკებ საქმე რაშია და მალე დავბრუნდები. იმედია, რომ ამ მოკლე ხანში საშიში არაფერი არ მოხდება. ღმერთი მოწყალეა...

სწორეთ იმ დღეს ლუსიადან რომ მოველიერთი გორგალი კორპი მოვიტანე და ეხლა მამას გაუწოდე,

— ეს პავლეს მიეცი... უთხარი რომ მე თვითონ ჩემი ხელით დავარღვიე.

ეხლა ამ მუშაობით ვამაყობდი — ამ რამდონიმე ხნის წინ კი მეზიზღებოდა და მეთაკილებოდა.

მამა წავიდა. ერთმა დღემ გაიარა და ის კი არ ბრუნდებოდა. დედა სწუხდა და თან და თან ღელავდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! საღ დაიკარგა!

დღე თითქოს განგებ გრძელდებოდა.

მეორე დილას ქუხილის მსგავსმა გრიალმა გამომადგინა.

— ისვრიან!

ზედი-ზედ სროლა მოისმა, უთუოთ ახლო მახლოდან. შემდეგ უფრო შორიდან მოისმა და ბოლოს სულ მიწყნარდა. ხმაურობა ხან ახლოვდებოდა და ხან შორდებოდა. მეზობლები სახლის სახურავზე ავიდნენ და ღურბინდით ათვალეიერებდნენ. გარშემო თოფის წამლის ბოლი მოჩანდა. ზოგს მიწაზე ყური მიედოთ, რომ შეეტყოთ საიდან მოდის ხმაურობა და რა მანძილზეა. განა მე ამისთანა ომი მინდოდა? ეხლა მზათ ვიყავი მთელი ჩემი სათამაშოები და წიგნები შეჩუქებინა, რომ ოღონდა კი ჩვენგან მოშორებით საღმე ყოფილიყო ომი!

დღეა სახლის კარებთან იდგა და იქითკენ გაიყურებოდა საიდანაც მამა უნდა დაბრუნებულყო.

ვანო მამას ოთახში იყო და თოფს ამზადებდა. მე ძალიან შევწუხდი.

— მამა გიჩვენებს შენ თამაშას! თოფის ჩელის ხლებმა რამდენჯერ დაგიშალა?

— თოფით თამაში არ შეიძლება, მე ხომ სათამაშოთ არ ჩამოვიღე, მიპასუხა გაჯავრებით ვანომ.



— უნდა ისროლო?

— ჰო, თუ მტერი მოვა... ისე, როგორც იმას ვაწვდის ესროლოს.

ვანოს ნალაპარაკებმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

— დედამ არ შეიტყოს, გესმის? შენ არ გაბედო და არაფერი უთხრა?

წინათაც ხომ გითხარით, რომ დედას თავის დღეში არაფერს არ უმაღავდი, ეხლა კი არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ.

— მპირდები, რომ არ ეტყვი?

— ჰო, თუ კი შენი სურვილია.

— განა შენ არ გესმის, რომ მე ის მტრებისაგან უნდა დავიცვა? აღრვე შეშინება კი საჭირო არ არი.

— დედას ხელს არავინ არ ახლებს; ჩვენ ხომ მეომრები არა ვართ და არ შევებძლოებით. ეს სალდაუების საქმეა!

— ყველას მოხვდება, აი ნახამ.

მე არაფერის ნახვა არ მინდოდა! საშინლათ მეშინოდა, ვცდილობდი ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ არაფერი საშიშარი ამბავი არ მოხდებოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, ვანოს მაგალითმა ცოტათი გამამხნევა და ჩემი მოვალეობა მომაგონა; უნდა შევიარაღებულიყავი. მე მესმოდა, რომ ჩემი თოფი სათამაშო იყო და საომრათ არ გამოდგებოდა, მაგრამ ხმალი კი, როდესაც ჩვენ მზარეულ დედაკაცს გავალესინე, ძალიან მჭრელი იყო, თუმცა კი ერთობ პატარა. ლიუსიმ ბევრი იცინა, როდესაც უთხარი, რომ მე იმას დავიცვამ და სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ პატარა ქალის დაცვა უფრო გამიადვილდებოდა, ვიდრე დიდი ადამიანისა.

როდესაც ლიუსიმ ნახა, რომ მე გულწრფელათ მას დაცვას ვპირდებოდი, დაცინვისა შერცხვა და მითხრა:

— ნუ გამიწყრები! დიდი მადლობელი ვარ!

ის საჩქაროთ სახლში წავიდა. საშინლათ შეწუხებული და მოუსვენრათ იყო. არც თამაშობას და არც ერთ ადგილას ვაჩერებას ვერ ახერხებდა. გამოთხოვებისას ის მომეხვია და ორივე ლოყაზე ისე მაკოცა, თითქოს სამუდამოთ ერთმანეთს ვეთხოვებოდით. მე თავი ვერ შევიმაგრე და ტირილი დავიწყე.

სალამოზე ვიღამაც კარები მაგრა დაარახუნა.

ჩვენ ყველანი კარის გასაღებათ წამოვცვინდით,

— მამა, მამა! მადლობა ღმერთსა!

მაგრამ, — ჩვენდა სამწუხაროთ, შევცდით. ეს სალდათები იყვნენ, რომელნიც კარ და კარ დადიოდნენ და დაქრილების სასარგებლოთ, რაც კი მოხვდებოდათ, აგროვებდნენ. დედამ თეთრეული, ძველი ტანთსაცმელი, ღვინო და რაც კი გამოადგებოდათ მოაგროვა და მისცა.

— განა ბრძოლა ახლოს არის? ვინ გაიმარჯვა? — ჰკითხამდა დედა.

— ჩვენ კიდევ დავამარცხეს... მალე მოწინავე ჯარი ქალაქში შემოვა, რომ ჩვენი უკან დახვევა დაჰფაროს. უნდა მოვემზადოთ. დროს ნუ ვკარგავთ.

ვიღასიც განკარგულებით სახურავში ქვაბებით და ტოლჩებით წყალი აზიდეს, რომ, თუ ვინიცობაა სახურავს ყუმბარა მოხვდა და სახლს ცეცხლი წაეკიდა, ეშველათ. ფანჯრებს ლეიბები მიაფარეს, რომ ზარბაზნის ტყვიისაგან დაიცვან. ას წელზე მეტი რომ ვიცოცხლო ეს საშინელი წუთები არ დამავიწყდება!

შიშისაგან ყველას გონება დაებნა. მე მკვდარივით ვიყავი, დედა უგრძნობლათ სავარძელში დაეცა და მამას უძახდა, რომელიც რასაკვირველია ვერ გაიგებდა.

ვანო კუთხეში იჯდა და თოფს თვალს არ აშორებდა. მე ვიცოდი რასაც აპირებდა, მაგრამ ჩემ დაპირებისთვის არ მიწინდობდა მეღალატნა და გაჩუმებული ვიყავი.

ვანო ფანჯარასთან მივიდა და ლეიბი გასწია.

— ოჰ!.. დაიყვირა მან.

საყდარის სამრეკლო და ცა წითლათ იყო შეღებილი.

— სოფლები იწვის...

— სოფლები იწვის? ის სოფლები, სადაც ჩვენ ზაფხულში კვირაობით დავიარებოდით ხოლმე, სადაც მშვენიერი მწვანე მინდვრები და ტყე იყო და ისე მზიარულათ დროს ვატარებდით. სადაც მრავალი ბატყნები, იხვ-ბატყნები და ქათმები დარბოდნენ და გემრიელ რძეს და ნაზუქებს ვჭამდით. ბატყნები, ქათმები, ბატყნები და იხვებიც განა დაიწვიან?.. რისთვის?

მთელი ღამე არავის არ დაუძინია. შეგიძლია წარმოი-



დგინო თუ რა საშინელი ღამე იყო? სამრეკლოებზე ზარებს რეკავდნენ, ეს მწუხრის რეკვა ისეთი საშინელი იყო, რომ ყველას გული გვისკდებოდა. ქუჩებში მოძრაობა იყო და ყვირილი ისმოდა. ბარკადებს სდგამდნენ. მცხოვრებლები მთელი ოჯახობით სადღაც მირბოდნენ და თან ვისაც კი რამე ძვირფასი ნივთი ებადათ—მიჰქონდათ. ზოგნი პატარა ეტლებით თავიანთ ავეჯსაც კი მიაბრუნებდნენ.

მეც საღმე გაქცევა მინდოდა.

— წავიდეთ!..., წავიდეთ!... ვიმეორებდი მე.

— სადა, შე სულელო? განა გავლა შეიძლება? გარშემო სულ ჯარი სდგას? მამა როგორ-ღა გვიბოვნის.

ჩვენი ძალი ფილო ბაღში ღმუოდა. დილაზე დაქანცული ძლივს ჩამეძინა.

## VII.

ის იყო თენღებოდა, რომ რაღაც საშინელმა გრიალმა გამომადღიდა. დედა და ვანო ფანჯრიდან ქუჩაში იყურებოდნენ. ჩვენ სახლის წინ ზარბაზნებს მიაბრუნებდნენ ისე ჩქარა, რომ მთელი სახლი ინძრეოდა. სროლა მოუხშირეს.

— მე შეძინება, — ვსთქვი, მაგრამ ეს სრული ი. ი. ცრუე იყო. მინდოდა დამეძინა. რომ ეს საშინელება არ მენახა. შიშისაგან ვკანკალობდი. რა ღროს ძილი იყო! ან ვინ დამაძინებდა!

სროლა ქუჩის ორივე მხრივ მოისმოდა. შუშებს ზრიალი გაჰქონდა.

ფილო დარბოდა და გამწარებული ღმუოდა, სწუნდა, რომ ჩვენი ოჯახი ერთად არ არის შეგროვილი ანუ განსაცდელის მოახლოვებას გვაშენობდა. უცბად ჰაერში რაღაც ზუზუნით გასკდა.

— ყუმბარა!

კიდევ, კიდევ!, ოთხი ყუმბარა ზედიზედ!

— სამსჯავრო სახლიდან შავი ბოლი ამოდის — სთქვა ვანომ—აი, აი! ცეცხლიც გამოჩნდა.

— ღმერთო მოწყალეო! განა მშვიდობიან ქალაქს ცეცხლს წაუკიდებენ და დასწვამენ?

— იმათ არ უნდათ, რომ ჩვენი ჯარი ქალაქში გამაგრდეს.

კიდევ ზუზუნი და ყუმბარების ზრიალი. ამ ჯერობაზე უფრო საშინელი გრიალი მოისმა, ფანჯრის შუშები ნაკუწნა-

კუწათ იქცა, სახლის ავეჯეულობა გაინძრა და იატაკზე  
ქცა, გაჯი და აგურის ნამტვრევები თავზე გვეყრებოდა.

— ყუმბარა მოგვხვდა? ჩვენ სახლს თუ მეზობლის სახლს?  
არა, ჩვენ არ მოგვხვედრია, თორემ ცოცხალი როგორ გადაე-  
რჩებოდით!

— მეზობლისას, მეზობლისას! — დაიყვირა მოსამსახურე  
დედაკაცმა ბალიდან, სადაც იმალებოდა, — სახურავი ჩაანგრია!  
სახლი იწვის!

— ლიუსი!.. ლიუსი!... — ვყვიროდი — მე  
დედამ ხელში ამიყვანა

— გაჩუმდი!

მაგრამ მე მაინც ვყვიროდი:

— ლიუსი!... ლიუსი!...

— ლიუსი აქ არ არის, ისა და დედა მისი ღამე ქალაქი-  
დამ სხვაგან წავიდნენ!

— ჩვენც წავიდეთ!

— სად? როგორ?

ჩვენი სახლი შიგ ბრძოლაში მოჰყვა. გარშემო საშინელი  
გრიალი, ზუზუნი და ტკაცა-ტკუცი მოისმოდა. ხანდისხან სი-  
ჩუმე ჩამოვარდებოდა და ეს სიჩუმე უფრო გვაშინებდა.

უცბათ ცხენების თქარა — თქური მოისმა. ხმაურობა,  
ყვირილი. კიდევ შუშა გასკდა. ღამმა იატაკზე დაეცა, სარკე  
გასკდა და ნამტვრევები აქეთ იქეთ გაიფანტა. სახლს ტყვია მო-  
ხვდა.

ძირს ვილაც კარებს გვირახუნებს, უნდათ შემოვიდნენ,  
რომ ფანჯრებიდან ქუჩაშა ისროლონ.

ვის უნდა ესროლონ? ჩვენებს?

ვანომ თოფი აიღო და ძირს ჩავიდა.

— უბედურო ბავშვო, სად მიდიხარ?... ვანო! ვანო, —  
ყვირის დედა და თავზე ხელი წაივლო, ვანო ხმას არა სცემს  
და მიდის. ფილო ყეფით თან მისდევს სახლის დასაცველათ.  
დედა ვანოს გამოეკიდა, მე იმის კაბას ხელი მოვჭიდე და არ  
უშვებდი. უცბათ საშინელი გრიალი მოისმა, მე და დედამ  
თავი ვერ შევიმაგრეთ და ძირს დავეცით.



დედა უმალვე წამოვარდა, ხელში ამიყვანა და სარდაფში ჩაირბინა. იქვე შესავალთან კიდევ დაეცა. რამდენი ხანი ასე გაუნძრევლათ ვიყავით, არ ვიცი, იქნება რამოდენიმე საათიც. მე მარტო დედი ჩემის და ჩემი გულის ცემა მესმოდა, ხანდისხან დედა ტუჩებს აცმაცუნებდა და რალსაც ბუტბუტებდა. ტუჩების მოძრაობით მე ვგრძნობდი, რომ ის იძახდა:

— ვანო!... ვანო!...

ძაღლის ყეფა აღარ ისმოდა, უთუოთ ფილაც ვანოსთან ერთათ სადმე შეეფარნენ. მაგრამ ამ საშინელ ხმაურობაში ვერაფერს გაარჩევდა ადამიანი.

რა ხდება? რა დაგვემართება? არ ვიცოდით. შავი გულ შემხუთავი ბოლი სარდაფის ფანჯრიდან შემოდებოდა. გვეგონა, რომ სახლი თავზე გვენგრევა. მაგრამ არც ძაღლონე შეგვეწევა, რომ სადმე ვავტყუელიყავით და თავისთვის გვეშველა. ბოლოს ხმაურობა შეწყდა და ყველაფერი მიჩუმდა, ეხლა უთუოთ ჯერი სხვა სახლებზე მიდგა. ხოლო ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმაურობა მოისმოდა: ცხენების ფეხის ხმა, ზარბაზნების ზრიალი, რომელმაც თითქოს ყველაფერი უნდა გაანადგუროს და მტერათ აქციოს. გაცემა ბრძანების უცხო ენაზედ მოისმოდა.

მტერი! იმათ ხელში ვართ... გვესმოდა, რომ ზემოთ სართულში თოფების კონდახით ყველაფერს ამტვრევდნენ. სარდაფის კერი ინძრეოდა.

— ვანო, ვანო! შეიბრალებთ ვანო!

დედა ზეზე წამოვარდა და კიბისაკენ გაიქცა. მე სარდაფში დარჩენა მირჩევნოდა, მაგრამ დედა როგორ შემეკავებინა? დიდხანს ცდა არ მოგვინდა. დედას ხმაზე ხუთი კაცი მტრის

საღდათი გამოცვივდა ყვირილით და გარს შემოგვეხვივნენ ხმლით და შუბებით გვემუქებოდნენ. საშინელი სასტიკი სახე ჰქონდათ, სისხლში და ტალახში ამოსვრილი იყვნენ!

ისინი არაფერს არა გვთხოვდნენ, რალაცას გვკითხავდნენ და ჩვენ კი არ გვესმოდა. მე კულ გუნებაზე ვიყავი! კუთხეებში რალაცას ეძებდნენ და იქაურობას ურევდნენ. ბოლოს ჩვენ ზემო სართულში აგვეყარეს.

როგორი აოხრებელი იყო იქაურობა. ჩვენი სასტუმრო ოთახი, რომელსაც დედა ისე სუფთად და ლამაზად ინახავდა! სასადილო ოთახი! სულ ანგრეულ-დანგრეული და დამტვრეული დაგვიხვდა.

ჩვენ ვილაც საშინელ შესახედ სამხედრო კაცთან მიგვიყვანეს; მაღალი გრძელი, წითელ წვერიანი იყო. მე ის ლომს ან ზღაპრებში ამოკითხულ კაცი მქამელას მივამსგავსე. ეს უთუოთ ოფიცერი იყო, თუმცა არაფერი ნიშანი არა ჰქონდა. ის ფრანგულათ ლაპარაკობდა. დედამ უთხრა, რომ ჩვენ სულ სარდაფში ვიყავით.

— თქვენ აქ მარტოკა სცხოვრობთ, კაცები სად არიან?

— ჩემი ქმარი... მოხუცებულია... ის აგერ ორი დღეა რაც თავის დაქრილი შვილის საქმენელათ წავიდა.

აქედამ ვლამაც ისროლა.

— არ ვიცი...

— თქვენ სასტიკათ დაგსჯიან თუ არ გასცემთ... ასეთია სამხედრო სამართალი.

— აბა მე საიღამ უნდა ვიკოდე? მე ჩემი შვილით სულ სარდაფში ვიყავით. — თუ ჩემ უნებურათ ვინმე შემოვიდა და ისროლა...

— აი ვნახამთ, — გააწყვეტინა ოფიცერმა: — მოვძებნით და თუ ვინმე ვიპოვნეთ, ვინც გვატყუილებს იმათაც არ დავინდობთ.

იმან თოფი დაგვიმიზნა, თითქოს უნდოდა ესროლა. უთუოთ დედას აშინებდა, მაგრამ დედა არ ინძრეოდა, იმათ ვანო ვერ იპოვნეს, დედა ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ჩვენ მარტო ორნი ვართ. ის ჩემ მხარზე იყო დაბჯენილი და ვგრძნობდი, რომ ბარბაცობდა. თუმცა მე პატარა და სუსტი ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი ფეხზე მაგრა მდგარიყავი, რომ შემემარებინა დედა.



უცბათ... ოჰ, კინაღამ მეც არ წავიქეცი! კარებში უნახვე  
უძრავათ ეგდო მოკლული ფილა. საწყალი, ერთგული ფილა!

საშინელის ყვირილით გავექანე ძაღლთან, უძახდი, ვყვი-  
როდი, ვტიროდი, მაგრამ ძაღლს არაფერი არ ესმოდა. დედამ  
მხრებზე ხელი მომიჭირა და ეხლა კი მომაგონდა, რომ ფილა  
ვანოსთან ერთად გავარდა სახლიდან მტრების მოსაგერებლათ  
და შემეძლო ამ რიგათ ვანო გამეცა და ხიფათში ჩამეგლო.

მე თავი შევიმაგრე, ცრემლები გადაეყლაპე და გაეჩუმ-  
დი. სახლის მჩხრეკავი სალდათები უკან დაბრუნდნენ და ში-  
შისაგან გაფითრებული მოსამსახურე, რომელიც საღდაც ბაღ-  
ში იპოვნეს, მოჰყავდათ. სროლას იმას ხომ ვერ დააბრალებ-  
დნენ. ჩვენ სამივე, როგორც ტყვეები, კუთხეში დაგვტოვეს.  
ამ სალდათების და ოფიცრის გარდა ოთახში კიდევ ერთი  
დაქრილი იყო, რომელიც ჩვენ ჩამოგლეჯილ ფარდებზე დაე-  
წვინათ და საცოდავით კენესოდა.

ოფიცერი დედას მიუხანლოვდა და ეხლა სულ სხვა კი-  
ლოთი დაუწყო ლაპარაკი:

— იქნება, ქალბატონო, რამე შემწეობა აღმოუჩინოთ  
ამ დაქრილს!

დედამ უარი არ უთხრა. ის ხომ კეთილი იყო, გუნებაში  
გავიფიქრე, რომ იქნება ვანოს პატიება უნდოდა დემსახურე-  
ბინა.

დაღამდა. გუშინდელს აქეთია არაფერი არ გვექამა და  
შიმშილსა ვგრძნობდი. სალდათები ჩვენ განჯინებს ანადგუ-  
რებდნენ, თითებს ილოკამდნენ, მურაბებს, რომელსაც ჩვენ  
მარტო დღესასწაულ დღეებში გვაქმევდნენ, სვლიპავდნენ და  
სავსე ქილებს ჩანთაში ილაგებდნენ. ზოგს სარდაფიდან ბოთ-  
ლებით ღვინო ამოჰქონდათ და სვამდნენ. დაითვრნენ და თუ-  
რამე დარჩათ მთელი — იმასაც ამგვტვრევდნენ და ანადგურებ-  
დნენ. თავიანთ ენაზე გველაპარაკებოდნენ, დაგვცინოდნენ,  
გვემუქრებოდნენ, და ჩვენ კი შიშით ვკანკალებდით.

მე ისე დაქანცული და დასუსტებული ვიყავი, რომ არც  
კი მესმოდა თუ რა საზიზღრობა ხდებოდა ჩვენ გარშემო და  
რა საშიშარ მდგომარეობაში ვიყავით ჩავარდნილი.

უცბათ დოღის ხმაურობა მოისმა, ოფიცერი, რომელიც  
ჩვენგან საღდაც წავიდა, ისევ უკან დაბრუნდა. რაღაც განგა-

შია უნდა წასულიყვნენ. შორიდან სროლა ისმოდა. სწორდებოდა აქედან წასვლა არ უნდოდათ, ფიქრობდნენ, რომ წინა-დღით საკმაოდ იბრძოდნენ და ეხლა ჩხრეკა-ცარკვა ერჩინათ. ზოგიერთს იატაკზე ეძინათ, ოფიცერმა ფეხი წაჰკრა, ყვიროდა, ილანძღებოდა, ვინც არ ემორჩილებოდა თავის სხვილი ჯოხით სცემდა, ერთს რევოლვერიც კი ჩაარტყა თავში.

წასვლის დროსაც კი ანადგურებდნენ ყველაფერს. კედელზე სურათები გვეკონდა ჩამოკიდებული. მამას ეს სურათები ძალიან უყვარდა, ამბობდა, რომ იშვიათი და ძალიან ძვირფასი ნივთებია. ეს სურათები მთვრალმა სალდათებმა ხიშტებით დაჩხვლიტეს.

როდესაც უკანასკნელი სალდათი სახლიდან გავიდა, ოფიცერი დედას მიუახლოვდა, ხელი უშებლზე მიიღო და ზრდილობიანად წაიბუტბუტა:

— რა გაეწყობა, ომია!

იმას უთუოთ თავისიანების საქციელისა შერცხვა.

დოლი კიდევ დაჰკრეს და ისიც წავიდა.

## VIII.

ჩვენ და დაქრილი ოფიცერი მარტოკა დავრჩით.

— უნდა მოუაროთ, — სთქვა დედამ. — უყურე, როგორ იტანჯება ეს საცოდავი ღმერთო ჩემო, ნეტავი თუ ჩემი საწყალი პავლეც ეგრე იტანჯება?!

დილა იყო, თუ ღამე? ვერ ირჩეოდა! დღისით ბოლისაგან იყო ჩაბნელებული და ღამე ცეცხლისაგან განათებული. თითქმის მთელი ქალაქი იწოდა. ქუჩაში დარაჯები დადიოდნენ და დამარცხებულებს თვალს ადევნებდნენ. გაუგებარ ენაზე ყვიროდნენ და ვინც ხმას არა სცემდა ესროდნენ. ეს სროლა უფრო საშიშარი იყო ვიდრე წინანდელი. სად არის მამა, ვანო? რატომ არ დაბრუნდნენ, რა დამართათ? უმიმართო ჩვენ რა გვეშველება? ეს ფიქრები იმ ვაი ვაგლახის დროს თავში არ მომდიოდა. ის ჰაზრი, რომ ავერ-ავერ მოგვკლავენ ყველაფერს გვავიწყებდა. ეხლა კი მგონია განსაცდელს ავსცდით. მებრძოლი სალდათები მოგვშორდნენ. ჩვენები სად არიან! იბრძვიან? დაბრუნდებიან კი? რა მდგომარეობაში არიან? დახოცილები თუ ცოცხალნი? ამ გვარი მწარე ფიქ-



რები ჭკუილამ შეშლიდა კაცს.

— აჰ! რატომ მეც დიდი არ ვიყავი? ეხლა რაში ვარ. გამოსადეგი? მე მარტო ტირილი შემემძლო და ისიც ეხლა. დედის გულისთვის არ შეიძლებოდა, რომლის მწუხარება გონებას მიბნევდა.

ეს იყო მეორე დღეს თუ არ ვცდები. დილ, მეორე დღეს, კარგა გათენებული იყო. — უცებ მეზობელმა შემოირბინა:

— ქალბატონო, ქალბატონო! მე ეხლა თქვენი ქმარი ვნახე... მოედანზე... ტყვეთ!..

დედამ შეჰკივლა, კარებს ეცა და გაჰქრა. მარტოკა დაერჩი. ავღრიალდი! დედა დაბრუნდა, ბუმბულივით მხარზე წამომიკიდა. მე ისე ვერ ვივლიდი, ის მირბოდა, მიჰფრინავდა. დარაჯები არ უშვებდნენ. ის ხელიდამ უსხლტებოდა. კიდევ კარგი რომ არ ესროლეს.

მე მაგრა კისერზე მოვეხვიე და შეშინებული აქეთ-იქით ვიყურებოდი.



მოედანს უახლოვდებოდით; ყველა ჭუჩებში ნაცნობი იყო, მაგრამ სულ მიწგრეულ-მონგრეული: სახლები ბოლისაგან გაშავებული, კედლები დანგრეული და ზოგი დამსკდარი, ისე რომ სახლის შინაგანი მოწყობილება მოჩანდა.

სამრეკლო, რომლიდამაც დღესასწაულებში ხმა მაღალი რეკა მოისმოდა, სრულებით დანგრეული იყო. დაჭრილები? დაჭრილები ხომ რამდენი მიჰყავდათ! არვიცოდი საით მიმეხდნა, რომ ეს საშინელი საკაცებები არ მენახა. მე უთუოთ გავიქცეოდი, რომ მამის პოვნის სურვილს არ შევემაგრებინე. მამას პოვნა, იმისი ნახვა, იმისი ხმის გავგონება და იმის მფარველობის ქვეშ ყოფნას არც არაფერი არ მერჩია. არც ტყვია ზარბაზანი, არც შემოსული მტერი მგონია არ შემაშინებდა.

(შემდეგი იქნება)

# ოსმალი.

ისჯამა



მისთვის, რომ განყენებული აზრი ყოფილიყო ად-  
ვილათ გასაგებარი, მოჰამედმა ქრისტიანების ღმერ-  
თის სიმშვიდეს, სიმართლეს, მიუმატა თვისება კერ-  
პებისა — შურისძიება, დატყუილება, ცბიერება. რა  
გამოვიდა? ოსმალოს ღმერთი არის თვით ნებიერი, სრული უფ-  
ლების მქონელი მმართველი, რომელსაც ვერაფერი ვერ შეა-  
ჩერებს, მოქმედობს ისე, როგორც მოისურვებს, ვისაც სურს  
შეიბრალებს, ვისაც სურს დააჯილდოვებს, ვისაც გაუჯავრდე-  
ბა, მას სასტიკათ სდევნის და დასაჯავს. ადამიანის მოქმედებას,  
მის კარგ თვისებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ცო-  
დვებისათვის ალლაჰი ყოველ ცოდვილს კი არ დასჯის, არა-  
მედ მხოლოდ იმას, ვის დასჯასაც მოისურვებს,

თუ შოინდომა დასჯა — კეთილ ადამიანსაც დასჯის. მხო-  
ლოდ მონური მორჩილებით შეიძლება მისი მოსყიდვა. ალ-  
ლაჰი კეთილია და შემწყნარებელი მხოლოდ თავისიანებისა-  
თვის.

ასეთი წარმოდგენა ღმერთისა ვერ გაანვითარებდა ოსმა-  
ლოების ადამიანურ ღირსების გრძნობას და ხელ საყრელი იყო  
იმათთვის, ვინც მიისაკუთრა ალლაჰის მოადგილეობა აქ, დე-  
და-მიწაზე.

მათი რწმენით ალლაჰს გარს არტყიან ანგელოზები. იგინი  
სცხოვრობენ ცაში, მაგრამ ხშირათ გაემგზავრებიან მიწაზე, სა-  
დაც კდილობენ ხელი შეუშალონ მავნე სულელებს, თვალ-ყურს  
ადევნებენ ადამიანებს, შეაქვთ მათი ცოდვები დივთრებში,  
კეთილ საქმეებს მოახსენებენ ალლაჰს, თუმცა სულ ხშირათ  
უნაყოფოთ.

ანგელოზი უცოდველია, მუდამ ახალგაზდაა, ლამაზი,  
მაგრამ არა უკვდავი. თუ კი მოისურვა ალლაჰმა შეუძლია რო-  
მელიმე გახადოს უკვდავთ.



ანგელოზებს მოსდევნენ წინასწარმეტყველნი. ისინიც ბევრი არიან. ყველაზე უდიდესია მაჰამედი, მერე მოსე, შემდეგ იესო ქრისტე, ბოლოს ადამი, ნოე, აბრაამი. წინასწარმეტყველთა რიცხვში აღექსანდრე მაკედონელიცაა. ყველა წინასწარმეტყველნი არიან უბრალო მომაკვდავნი, მოჰამედიც მათ რიცხვში, მხოლოდ დაჯილდოებულნი უზენაესის ნიჭით. თვითოული მათგანი ეკუთვნის თავის ხალხს და გამოგზავნილია მათთვის. მხოლოდ მოჰამედი არის წინასწარმეტყველი კაცობრიობისა. ნამდვილი ყურანი თვითონ ალლაჰს აქვს შენახული ზეცაზედ, მოჰამედს მან გადასცა მხოლოდ ამ ყურანის პირი. ყურანი არის სიტყვა ღვთისა, რომელიც წინასწარმეტყველმა აცნობა მართლ მორწმუნეებს. ღვთაებრივი დასაბამი ყურანისა არის იმის მიზეზი. შემუშავდა მთელი წეს-რიგი, თუ როგორ უნდა მოექცენ ამ წიგნს, თუ როგორ უნდა იკითხონ. ყურანს ისეთ თაყვანსა სცემენ, როგორც ღმერთს. ოსმალთა არამც და არამც არ მისცემს ნებას „გიაურს“ „ურჯულოს“ შეეხოს მას ხელით, არამც და არამც არ დასდებს იატაკზე, კითხვის დროს არ დაიჭერს წელს-დაბლა, ზედ არ დაადებს არავითარ საგანს. ის ალამაზებს ყურანს, ამკობს ძვირფასი თვლებით, ოქროთი. თავის სახლის კედლებზედ სწერს ტაიპებს ყურანიდან, აგრეთვე თავის იარაღზე, ნივთებზე. თუ გადუხვალთ ყურანის კითხვის რომელიმე წესს ცოდვით ჩაგეთვლებათ. ყველა წესების ასრულებისათვის უნდა მოელოდეს ადამიანი ჯილდოს ალლაჰისაგან. ვინც დასწერს ქაღალდზე 36 თავს მოჰამედის მოციქულობაზე, და მერე ამოავსებს ამ ქაღალდს წყლით და დაღვეს, მას ალლაჰი გააბედნიერებს, მიანიჭებს ათასს წყალობას, ააშორებს ავათყოფობას. ამ თავების წაკითხვა დაძინების წინ დაიცავს ადამიანს ეშმაკისაგან. იქ მოხსენებულია, რომ ღმერთი არის ერთი და უკვდავი. ოსმალთა მოელის ჯილდოთ თორმეტ სასახლეს, თუ ას ჯერ წაკითხა, მაშინ 25 წლის განმავლობაში ეპატივება ყველა ცოდვები, და მიიღებს ნებართვას სიცოცხლეშივე დაინახოს თავისი ადგილი სამოთხეში. ყურანის კითხვის შემდეგ ოსმალთა კითხულობს ლოცვას; ის ვევედრება უფალს აპატიოს შეცდომები, რომელნიც კითხვის დროს მოუვიდა. ოსმალთა ხელმძღვანელობს ყურანით ცხოვრების ყოველ შემთხვევაში: უნდა ახსნას რამე მოვლენა, გაიგოს რამე

ვაუგებარი. არასოდეს არ იფიქრებს ისე, რომ ყურანი ვერ აკმაყოფილებს. აი ამ ბრმა რწმენაში, რომ ყურანი, შეუცდომელია, არის მიზეზი ოსმალოების განვითარებაში უკან ჩამორჩენისა.

ყურანი არის თავის დროის შვილი. მასშიდ ჩვენ ვბოულლობთ ათასგვარ შეცდომებს. მაგალითათ, რომ დედა-მიწა მთების სიმძიმით დგას, რომ ცა აშენებულია შვიდ სართულიანათ, რომ სამყარო გაჩენილია რამდენიმე დღეში. ოსმალო, აღზრდილი ყურანზე, ძნელად ურიგდება ახალი მეცნიერებას, რომელიც სულ სხვას გვეუბნება.

ძლიერ ბუნდოვანათ არის ყურანში წარმოდგენილი, რომ სული უკვდავია. წინასწარმეტყველმა ვერ ჩააგონა არაბებს მეტაფიზიკური მცნება, რომ სული უკვდავია და ამიტომაც ამაზედაც ოსმალოს იგივე რეალური წარმოდგენა აქვს, როგორც სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე.

სანათხე მოჰამედს წარმოდგენილი აქვს მომზიბლავი ფერებით. ამითი მოიზიდა მან ხალხი. ამ სამოთხეში ოსმალო პოულობს მას, რაზედაც ოცნებობდა სიცოცხლეში ღატაკი და შევიწროებული. მდიდარი კი პოულობდა ყოველისფერს, რაც სიცოცხლეში ჰქონდა. მაგრამ მომეტებულიათ, უფრო უხვათ. სიცხისაგან დაქანცული არაბი ოცნებობდა ჩრდილზე, მშვენიერ წალკოტზე, მაშინ სამოთხე წარმოუდგებოდა მშვენიერ ჩრდილიან ბადათ. ვთქვად ოცნებობდა კარგ საქმელზედ, რომელიც ექნებოდა გამოუღვევლათ სამოთხეში, სამოთხეში მას ექნება ტკბილეულობა, ღვინო; თუ უყვარს მზიარული ღია ფერები, ლამაზი ტანისამოსი — სამოთხეშიც მას მოელის ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკული. არაბს არ უყვარს მუშაობა, ის მუდამ ამუშავებდა მონებს — სამოთხეშიაც მას ეყოლება მონები ასობით. მონები აუსრულებენ ყოველ სურვილს ჩააცმევენ, მიართმევენ საქმლებს ოქროს თასებით. სრული ბედნიერება მოელის მას სამოთხეში, რძის და თაფლის შადრევანები, მშვენიერი ცივი წყალი, სეირნობა მშვენიერ წალკოტში. ხეები დატვირთული საუცხოვონაყოფით. მოსასვენებლათ მდიდრულათ მორთული სასახლეები, კაი ყურთუკის ქვეშაგები, აბრეშუმის საბან-ბალიშები. ანგელოზები მათ უგალობენ ნაზ საგალობლებს. ეს ყოველისფერი არასოდეს არ მოსწყინდება ოსმალოს.



აი სურათი სამოთხისა.

სულ სხვაა ჯოჯოხეთი. — ეს არის ცეცხლი, ქვაბები ადუღებული წყლებით, სადაც იხარშვიან ცოდვილები, მყარლი კომლი, სხვა და სხვა იარაღი ტანჯვისა. შეუძლებელია ჯოჯოხეთიდან გაქცევა. ოსმალოს მოელის ასეთი ტანჯვა 7000 წლის განმავლობაში, ხოლო მერმე ზოგი გადაყვანილ იქნებთან სამოთხეში. ურჯულოები კი დარჩებიან აქ სამუდამოთ.

ეხლა გადავაგლოთ თვალი მოჰამედის სწავლას. ძლიერ საყურადღებოთ უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც გვაცნობენ მთელ ოსმალოს მსოფლიო მხედველობას. მაგრამ ოსმალოს ცხოვრებაში და აგრეთვე ყველა მოჰამედის რჯულის მიმღებრების ცხოვრებაში ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა, და ამავე დროს უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა სწავლის ბედის-წერაზე.

არავითარი უბედურება არ დატრიალდება დედა მიწაზე, არც ადამიანთა შორის, თუ ეს განგებისაგან არ არის დანიშნული.

აი ისლამის რჯულის დედა-ბოძი.

მთელი კაცობრიობის წინ მსვლელობა ბუნების მანვე ძალების დამორჩილებაშია, ადამიანის ცუდი მოქმედების აცდენაშია. თანამედროვე კულტურულ ადამიანის იდეალია მიახწიოს იმ წერტილს, როდესაც ის შესძლებს მთელი ბუნება დამორჩილოს და მოაწყოს თავის ცხოვრება ისე, რომ საუკეთესოთ განვითარდეს მისი სულიერი ძალები, მისწრაფებანი. მოჰამედის სწავლა კი განგებაზეა დამოკიდებული, ყოველისფერ ამას უკუაგდება ყოველი კულტურულ მისწრაფებას ამიწებს. თუ ბოროტება ღვთისაგან არის მინიჭებული, მაშ ალარღირს მასთან ბრძოლა, რადგანაც მასთან ბრძოლა არის ბრძოლა თვით ღმერთთან. ასეთი შეხედულება სამუდამოთ აკანონებს არსებულ მდგომარეობას, ხელს უწყობს ყოველ სიბოროტეს და უსამართლობას.

ეს კანონი ადასტურებს მონობას, სიმკაცრეს, უვიცობას, ის ჰკლავს ყოველ მისწრაფებას სულიერს და გონივრულ განვითარებისას, იმიტომ რომ ფიქრობენ რა საჭიროა განვითარება, სწავლა თუ ვერასფერს ვერ შესცვლი, თუ ალლაჰმა უკვე შეგქმნა შენ კეთილათ ან ბოროტათ, ჰკვიანათ თუ ბრიყვათ, ზარმაცათ თუ ბეჯითათ.

ეს კანონი მოჰამედმა შეჰქმნა პრაქტიკული მიზნით. მან ჩაენერგა ოსმალოებში სიმტკიცე და გულადობა რელიგიოზურ ომების დროს, რომ რაც კი დაემართებოდა მის ხალხს, მას მიეღო, როგორც საგანგებოთ ღვთისაგან მინიჭებული. ამგვარათ წამოყენებული პირველ ხანებში, როგორც ახალი რელიგიოზური და პოლიტიკური გეგმა ცხოვრებისა, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ახალი ცხოვრება სახელმწიფოში, ისლამი გახდა გაბატონებულ კლასების ხელში იმ იარაღათ, რომლითაც ღარიბი და დამორჩილებული ხალხი ხელ ქვეითათ უნდა ჰყოლოდათ.

(შემდეგი იქნება)

აღ. ფ—სი.





# მოცურავე ქალაქი.



ვრობისა და ამერიკის შუა, ატლანტიის ოკეანეზე, ამერიკის, ინგლისის და გერმანიის გემები დაცურავენ. წინათ ჩქარ-მავალი გემებით ევროპიდან ამერიკაში ორი კვირა უნდებოდათ მოგზაურობა, ახლა კი ერთ კვირაზე გაივლიან ამ მანძილს. გემების საზოგადოებანი

სულ ახალ-ახალგემებს აკერებენ; ერთი მეორეს სჯობნის სიდიდით, კარგი მოწყობილობით, ჩქარი სიარულით. ყველაზე დიდი გემი ინგლის-ამერიკის საზოგადოებამ „თეთრ ვარსკლავმა“ გააკეთა. ამ გემს „ტიტანიკი“ ერქვა. ეს უშველებელი გემი „ტიტანიკი“ დაიღუპა ორი წლის წინათ. — ატლანტიის ოკეანეზე ცურვის დროს წააწყდა ყინულის მთებს.\*) ახლა გერმანელებმა, გამბურგის გემის კომპანიამ გამართა, ატლანტიის ოკეანეზე საცურავათ, გემი „იმპერატორი“, რომელიც ყველა წინანდელ გემებს სჯობნის დიდებული მოწყობილობით, სიმდიდრით და სიდიდით. ოკეანეზე მოცურავე სხვა გემები „იმპერატორთან“ შედარებით უბრალო იალქნიან ნავეებს მიეგვანებიან. „იმპერატორის“ სიგრძე უდრის 130 საჟენს, მისი სიგანე იქნება 14 საჟენი. კაპიტანის ხიდი მეთუთხმეტე სართულზეა გამართული. სიმალლე გემის ფსკერიდან ანძამდის იქნება 266 მეტრი\*\*). ერთი მხრიდან რომ შევხედოთ გემს ის უფრო მაღალი იქნება, ვიდრე 36 სართულიანი სახლი, რომელიც ამ ცოტახანში ამერიკაში შეათავეს. „იმპერატორის“ კვამლის მიღები 21 მეტრზე მაღლა ადის. აბა წარმოიდგინე რა სიდიდისა უნდა იყოს ეს გემი, როდესაც მის საკვამლეში სპილო ადგი-

\*) ტიტანიკის დაღუპვა აწერილი იყო 1912 წ. ჯეჯილის № 5.

\*\*) მეტრი დაახლოვებით 6 არშინია.

ლათ მოთავსდება. გასაკვირველი არ არის, რომ ამოდენა გემში  
ზე ოცი ათასზე მეტი ფუთი ნახშირი ყოველთვის უნდა  
იყოს. ამ გემზე ყველაფერი ისე არის მოწყობილი, რომ მის  
დასათვალიერებლათ მსურველს მხოლოდ რამდენიმე საათი  
სჭირდება.

რა გინდათ რომ „იმპერატორზე“ არ იყოს. მშვენიერი  
დიდი საზამთრო ბაღი საუცხოვო მცენარეებით და ყვავილე-  
ბით სავსე, უშველებელი მარმარილოს აუზი, ორასამდის სა-  
ბანაო ოთახი, რუსული და რომაული აბანოები, უზარმაზარი  
ბრწყინვალე დარბაზი სხვა და სხვა სავარჯიშო იარაღებით  
და სათამაშოებით მოწყობილი. იქ არის მშვენიერი წიგნთ-  
საცავი და სამკითხველო, სადაც ექვს სხვა და სხვა ენებზე და-  
ბეჭდილს წიგნებს და გაზეთებს ნახავს კაცი. ამ გემზე, საკუთ-  
რივ თავიანთ ყოველ დღიური გაზეთიც გამოდის, რომლი-  
სთვისაც ახალ-ახალ ამბებს ატყობინებენ უმავთულო ტე-  
ლეგრაფით. „იმპერატორზე“ საავადმყოფოებიც არის, საო-  
პერაციო ოთახები, აფთიაქები, ექიმები, აგრეთვე არის სხვა  
და სხვა მაღაზიები: წიგნისა, სათამაშოებისა, ტანისამოსისა,  
ყვავილებისა, ფეხსაცმელებისა, სამკერვალოები და რამდენიმე  
სადალაქოები. არის ყოველნარი თეატრის მოწყობილობა, სამუ-  
სიკო დარბაზი, სხა და სხვა საკრავი იარაღებით და საუცხოვო  
ყვავილებით მორთული, სამი დიდი ქორედი სასეირნოთ არის გა-  
კეთებული. ერთი სიტყვი ამ გემზე ყოველივე ის იშოვება,  
რაც დიდ კარგა მოწყობილ ქალაქში. „იმპერატორს“ სხვა  
ნაირათ ვერც-კი წარმოვიდგენთ თუ არ მოცურავე ქალაქათ.  
იმაზე 5,000 მეტი ადამიანი სცხოვრობს. ცალკე ოთახების  
გარდა არის კიდე ცალკე ოჯახებისთვის საუცხოვოთ მოწყო-  
ბილი ბინები. სრულიათ დაგავიწყდებათ, რომ ზღვაზე იმყო-  
ფებით და არა რომელიმე დიდ ქალაქის სახლში. ამისთანა  
ცალკე ოთახებით მოგზაურობა რასაკვირველია ძვირი ღირს.  
მაგალითათ, 8 ოთახიანი ბინა ცალკე ქორედით ორი  
სულისთვის ერთ კვირაში ღირს 10,000 მანეთი. პირველი  
და მეორე კლასი რასაკვირველია უფრო კარგაა მოწყობილი.  
მესამე კლასი ისე კარგათ არ არის მოწყობილი, მაგრამ მა-  
ინც მდიდრულათ და გიგიენურათ არის. მეოთხე კლასის  
მგზავრები (1800 კაცისა), რომლებიც სხვა გემებზე ქუქყიან,



ბნელ ოთახებში უღლებოთა ჰყრიან და ვინ იცის რასაც სწავლობენ, აქ სამაგალითოთ არიან მოწყობილები: ყველა მათგანს ეძლევა ახალი ლეიბი, ბალიში, ცალკე ჭურჭელი და სალი საჭმელი; ჭურჭელი მგზავრებს თან მიაქვთ, ლეიბსა და ბალიშს კი გემზევე დასწვამენ ხოლმე, რადგან იმოდენა ხალხში შესაძლოა ძალიან ადვილათ გავრცელდეს სხვა და სხვა ავადმყოფობა.

„ტიტანიკის“ დაღუპვამ ყველას კეჟა ასწავლა და „იმპერატორი“ ისეა მოწყობილი, რომ ადვილათ ვერ დაიღუპება. სიგძით ჩაყოლებულია საშველი 88 ნავი სავსე სხვა და სხვა საზღვაო იარაღებით; შიგ 6000 ადამიანი ეტევა, 70 ნავი ყველა ერთად ერთ წამს ჩაეშვება ზღვაში; 2 მოტორის ნავიც არის. უმავთულო ტელეგრაფთან მუდამ მოხელე დგას, ისე რომ ევროპისა და ამერიკის ნაპირებთან და სხვა და სხვა დიდ გემებთან სულ ერთობა აქვთ და განსაცდელის დროს შესაძლოა მაშინვე შეატყობინონ საცა საჭიროა.

„იმპერატორს“ ელექტრონით ანათებენ, ხუთი დინამო მაშინა აძლევს სინათლეს. მეექვსე დინამო მაშინა ვატერლინიანზე \*) მალლა სდგას, ისე რომ, თუ ვინიცობაა მანქანის განყოფილება წყლით აივსო, 10,000 ელექტრონის ლამთა მაინც ენთება და უმავთულო ტელეგრაფიც იმუშავებს.

„იმპერატორი“ რამდენიმე ძვიდეთია გაყოფილი, არც წყალი და არც ცეცხლი არ მოქმედობს ამ ძვიდებზე, ისე რომ, თუ ვინიცობაა იმპერატორს ცეცხლი წაეკიდა, მარტო ერთ ნაწილს მოედება. ეს ძვიდები ავტომატიურათ იკეტებიან. საკმარისია, რომ კაპიტანმა თავის კაპიტანის ხიდზე კნობკაზე ხელი დააჭიროს და ძვიდები დაიკეტებიან. მერე საიდან გაიგებს ხოლმე კაპიტანი გაჭირვებას, უბედურებას? საიდან და კაპიტანის ხიდზე ორი აპარატია, რომელიც ატყობინებს მას თუ გემზე სადმე ან წყალი შევიდა, ან ცეცხლი წაეკიდა და სხვა.


ყოველი კაპიტანის განკარგულება იწერება ავტომატიური აპარატით. განკარგულების ასრულებაც აპარატით იწერება, ისე რომ კაპიტანმა სულ იცის სად რა ხდება გემზე. კა-

\*) ვატერლინია იმ ხაზსა ჰქვიან, სადადინაც ჩვეულებრივით წყალში დგას გემი.



პიტანის ხიდის გვერდით არის ოთახი, სადაც არის რუქები, ჟურნალები, ზღვის იარაღები და სხვა. „იმპერატორის“ გემის მოსამსახურენი 1100 აღამიანისაგან შესდგება. ისე კარგათ და მოფიქრებით არის მოწყობილი ეს გემი, რომ მას უშიშრათ შეუძლია გაემგზავროს ზღვაში თავისი 5000 მცხოვრებელით და საათში 22<sup>1</sup>/<sub>2</sub> ზღვის მილის სისწრაფით იაროს.

კუდრაჭა.



# მწერების ძალ-ღონე.



ითქმის ყველას გენახვებათ როგორ მარ-  
დათ და ადვილათ მიათრევს ხოლმე  
ქიანქველა თავისზე ხუთჯერ და ათ-  
ჯერ მეტ სიგძე ბალახს ან ვეებერთე-  
ლა მარცვალს. ადამიანსაც რომ შე-  
დარებით თავის ტანთან ქიანქველას  
ოდენა ღონე ჰქონდეს, მაშინ ოც  
არშინიან სიგძე ტივის ხის აღება უნ-  
და შეეძლოს, მაგრამ ადამიანი ამო-  
დენა ხეს ვერც კი დასძრავს ადგილი-

დან. ყველაზე ღონიერი მწერებში არის ყურბელა. ერთმა  
მეცნიერმა ყურბელა პატარა კოლოფში შეება, ყურბელა მა-  
შინაც-კი მიათრევდა კოლოფს, როდესაც ამ მეცნიერმა კო-  
ლოფში დიდი შავი ფული ჩასდო. ფული ყურბელაზე ორას  
ორმოცდა ათჯერ მეტს იწონდა, ისე რომ ცხენს რომ ყურ-  
ბელასტოლა შეეძლოს მაშინ სამი ათასი ფული ტვირთის წა-  
ღებას შესძლებდა. დანარჩენი მწერებიც არ ჩამოუვარდებიან  
ყურბელას. ბუზანკალს მაგალითათ შეუძლია თავისზე ას  
ოთხმოცდა ორჯერ მძიმე ტვირთის დაძვრა, კრაზანა-კი თა-  
ვისზედ სამასჯერ მეტს ტვირთსა სძრავს.

ყველა ეს გვიმტკიცებს, რომ მწერები ადამიანთან და  
შინაურ ცხოველებთან შედარებით უფრო ძლიერები არიან. ადა-  
მიანი რომ ბუზის ტოლს იქნას, მაშინ ყველა თავის ოდენ-  
ა მწერებზე და ცხოველებზე უღონო იქნებოდა.



მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის.

ყოველდღიური სახლიტეკო და სალიტერატურო გაზეთი

# სახალხო ფურცელი

გამოვს იმავე პროგრამით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა.  
გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღარ გარედ 1 მან. 50 კპ.  
ცალკე ნომერი უკვეღან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილამდე სრულედ გადაიხთიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერაკითხვ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“  
ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ 190

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლიტიკო გაზეთი

# „საქართველო“

უპრემიოდ—ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 76). და წერაკითავის საზოგადოებაში.

3/57

ქართული  
ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

საქმანწვილო ნახატებიანი ჟურნალი  
ოცდა მუცხა წელიწადი.

ჟეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი  
განყოფილებაა, ზატარებისათვის და მოსრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება

4 მან., ქალაქ გურეთ (გაგსავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джелжили“